პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 დეკემბერი, 1937 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო ფასი 30 კაპ. № 31 (58)

ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში



თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა ჩვენს კანდიდატს ამხანაგ სტალინს.

ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე ამომრჩევლები ხვდებიან მქუხარე ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება. დიდი თეატრის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს. დარბაზიდან განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!", „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს, ვაშა!", „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადს, ამხანაგ სტალინს, ვაშა!".

სტალინი. ამხანაგებო, უნდა გამოვტყდე, მე არ მქონდა განზრახვა გამოვსულიყავი. მაგრამ ჩვენმა პატივცემულმა ნიკიტა სერგეის-ძემ, შეიძლება ითქვას, ძალით მომიყვანა აქ, კრებაზე: გვითხარი კარგი სიტყვაო. რაზე ვთქვა, სახელდობრ რა სიტყვა? ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე არის ნათქვამი და არაერთხელ ნათქვამი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების კალინინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ეჟოვის და მრავალი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგის სიტყვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ სიტყვებს?

ამბობენ, საჭიროა განმარტებანი საარჩევნო კამპანიის ზოგიერთ საკითხზეო, რა განმარტებანი, რა საკითხებზე? ყოველივე ის, რისი განმარტებაც საჭირო იყო, უკვე განმარტებული არის და არაერთხელ განმარტებული ბოლშევიკთა პარტიის, კომკავშირის, პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს, თავდაცვა - ავიაქიმის, ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტის ცნობილ მიმართვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ განმარტებებს?

რასაკვირველია, შეიძლებოდა თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე (**ნელი სიცილი**). შესაძლოა, რომ ასეთი სიტყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოვებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც, საბჭოთა ქვეყანაში (**სიცილი, ტაში**). მაგრამ ჯერ ერთი, მე არა ვარ ასეთი სიტყვების ოსტატი. მეორე, განა ღირს გასართობ საქმეებს მივყოთ ხელი ახლა, როდესაც ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, როგორც იტყვიან, „მუშაობა თავზე საყრელი გვაქვს". მე ვფიქრობ, რომ არა ღირს.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში კარგ სიტყვას ვერ იტყვი.

და მაინც რაკი მე ტრიბუნაზე გამოვედი, რასაკვირველია, მიხდება ასე თუ ისე ვთქვა ცოტა რამ მაინც (**მქუხარე ტაში**).

უწინარეს ყოვლისა მე მინდოდა მადლობა გადამეხადა (**ტაში**) ამომრჩევლებისათვის იმ ნდობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს (**ტაში**).

მე დამასახელეს დეპუტატობის კანდიდატად და საბჭოთა დედაქალაქის სტალინის ოლქის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გამატარა მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატი. ეს, ამხანაგებო, დიდი ნდობაა. ნება მიბოძეთ დიდი ბოლშევიკური მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, და პირადად ჩემდამი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლისადმი (**მქუხარე ტაში**).

მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებითს მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებითს პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში**).

ჩემი მხრით მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ამხანაგ სტალინს (**მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან: „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ!"**). შეგიძლიათ იქონიოთ იმის იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე (**ტაში**), მუშათა კლასის წინაშე (**ტაში**), გლეხობის წინაშე (**ტაში**), ინტელიგენციის წინაშე (**ტაში**).

შემდეგ, მე მინდა, ამხანაგებო, მოგილოცოთ მომავალი საყოველთაო - სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე (**ძლიერი ტაში**). მომავალი არჩევნები — ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია (**მქუხარე ტაში**). ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი (**ტაში**). ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები, თუმცა უკვე ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები ჩვენში ჩატარდება როგორც ყველაზე უფრო თავისუფალი არჩევნები და ყველაზე უფრო დემოკრატიული, მსოფლიოში ყოველივე სხვა ქვეყნის არჩევნებთან შედარებით.

საყოველთაო არჩევნები ტარდება და მათ ადგილი აქვს ზოგიერთ კაპიტალისტურ, ეგრეთწოდებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა ონავრების მხრით ამომრჩევლების მიმართ დაწოლის ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, ისინი რომ კიდეც საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწოდოს სავსებით თავისუფალი და სავსებით დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, არჩევნები ტარდება სულ სხვა ვითარებაში. ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, მაშასადამე, არც მქონებელი კლასების დაწოლა არის უქონლების მიმართ. ჩვენში არჩევნები ტარდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თანამშრომლობის ვითარებაში, მათი ურთიერთნდობის ვითარებაში, მე ვიტყოდი, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, იმიტომ რომ ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, არ არის ექსპლოატაცია და კაცმა რომ სთქვას, არავინ არის, ვისაც შეეძლოს დაწოლის მოხდენა ხალხზე მისი ნებისყოფის დასამახინჯებლად.

აი რატომ არის ჩვენი არჩევნები ერთადერთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული მთელს მსოფლიოში (**ძლიერი ტაში**).

ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი, ყოფაცხოვრების საკითხი, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

აი ამ ბაზაზე აღმოცენდა სწორედ ჩვენში ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არჩევნები, რომლის მაგალითი არ არის კაცობრიობის ისტორიაში.

როგორ არ უნდა მოგილოცოთ ამის შემდეგ საყოველთაო - სახალხო ზეიმის დღე, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე! (**მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია**).

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდა მოგცეთ თქვენ რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს ერთგვარი თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციცებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები სავსებით დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცნენ,—ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი, ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაებას ზოგიერთ არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინაციებშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებავს,—იგი დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი იწყებენ მელაკუდაობას, თუ ისინი უხვევენ გზიდან, თუ მათ ავიწყდებათ, რომ დამოკიდებული არიან ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან.

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უზენაეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა, და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ (**სიცილი, ტაში**). ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევაა ჩემი ამომრჩევლებისადმი, ახსოვდეთ ამომრჩეველთა ეს უფლება,—დეპუტატთა ვადამდე უკან გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ თავის დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში.

დასასრულ, დეპუტატობის კანდიდატის კიდევ ერთი რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. საერთოდ რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს დეპუტატებს, თუ ყველა შესაძლო მოთხოვნიდან ავიღებთ ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს?

ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი (**ტაში**), რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი (**ტაში**), რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი (**ტაში**), რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი (**ტაში**), რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი (**ტაში**), რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს (**ტაში**).

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვთქვათ, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი სწორედ ამგვარი მოღვაწეა? მე ამას ვერ ვიტყოდი. ათასნაირი ადამიანია ამ ქვეყნად, ათასნაირი მოღვაწეა ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე. არიან ასეთი ადამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშიაც არიან, ბოლშევიკებს შორის. თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი (**სიცილი, ტაში**). ასეთი გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად სთქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებიაო, არც ეს არიან არც ისო, ვერ გაიგებ რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი სოფელშიო" (**სიცილი, ტაში**). ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღა,—არც წყალია და არც ღვინო" (**საერთო სიცილი, ტაში**), „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა" (**საერთო სიცილი, ტაში**).

მე არ შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის (მე, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე) და ჩვენს მოღვაწეებს შორის არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, რომლებიც თავისი ხასიათით, თავისი ფიზიონომიით მოგვაგონებენ ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებზედაც ხალხი ამბობს: „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა".

მე მინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სისტემატურად ახდენდეთ გავლენას თქვენს დეპუტატებზე, რათა მათ ჩააგონებდეთ, რომ მუდამ თვალწინ ედგეთ დიდი ლენინის დიადი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს (**ტაში**).

ამომრჩეველთა ფუნქციები არჩევნებით არ თავდება, ეს ფუნქციები გრძელდება ამათუიმ მოწვევის უზენაესი საბჭოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. მე უკვე ვილაპარაკე იმ კანონზე, რომელიც უფლებას ანიჭებს ამომრჩევლებს ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი უხვევენ სწორი გზიდან. მაშასადამე, ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ—არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი—ამომრჩევლები ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი (**ტაში**).

ასეთია, ამხანაგებო, ჩემი მეორე რჩევა თქვენდამი, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავის ამომრჩევლებისადმი. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აპყრობენ მთავრობის ლოჟას, საითკენაც მიდის ამხანაგი სტალინი. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს, ვაშა!", „ამხანაგ სტალინს, ვაშა!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა!", „გაუმარჯოს პირველ ლენინელს — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ამხანაგ სტალინს! ვაშა!"**).

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

კავშირის საბჭოში არჩეული დეპუტატები

რ. ს. ფ. ს. რ.

ქალაქი მოსკოვი

იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი**—სტალინის ოლქი
ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი**—მოლოტოვის ოლქი
ნიკიტა სერგეის-ძე **ხრუშჩოვი** — კრასნაია პრესნიის ოლქი
ივანე ივანეს-ძე **გუდოვი** — ლენინის ოლქი
გლებ ალექსის-ძე **ბრატანოვსკი**—კიროვის ოლქი
ივანე მიხეილის-ძე **მოსკვინი** — ფრუნზის ოლქი
ვლადიმერ ლეონტის-ძე **კომაროვი** — ძერჟინსკის ოლქი
ოლგა თევდორეს-ასული **ლეონოვა** — სვერდლოვის ოლქი
ვლადიმერ ივანეს-ძე **კაზანოვი** — რკინიგზის ოლქი
ივანე ივანეს-ძე **სიდოროვი** —ოქტომბრის ოლქი
ტატიანა ვიქტორის-ასული **ფედოროვა** — საბჭოთა ოლქი
პრასკოვია ნიკიტას-ასული **პიჩუგინა**—პროლეტარსკის ოლქი
ნიკოლოზ ნილის-ძე **ბურდენკო**—როსტოკინის ოლქი.

საქართველოს სსრ

ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია** — თბილისის—სტალინის ოლქი
ეთერი ნიკოლოზის-ასული **მაზანაშვილი** — თბილისის — კიროვის ოლქი
ავქსენტი ნარიკის-ძე **რაფავა** — სოხუმის ოლქი
ისმაილ ხასანის-ძე **ფუტკარაძე** — ბათუმის ოლქი
ლავრენტი თომას-ძე **ჯანჯღავა**—ფოთის ოლქი
ფილიპე იესეს-ძე **მახარაძე**—სამტრედიის ოლქი
ვალერიან მინას-ძე **ბაქრაძე**—ქუთაისის ოლქი
ვასილ ვლადიმერის-ძე **სამხარაძე** —ჭიათურის ოლქი
ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე **კუიბიშევი** — ბორჯომის ოლქი
ნატალია კონას-ასული **სადალაშვილი**—გორის ოლქი
შალვა ნიკოლოზის-ძე **დადიანი**—თბილისის სასოფლო ოლქი
ნიკოლოზ ივანეს-ძე **მუსხელიშვილი**—თელავის ოლქი

ეროვნებათა საბჭოში არჩეული დეპუტატები

საქართველოს სსრ

პეტრე ათანასეს-ძე **შარია** — სოხუმის საქალაქო ოლქი
პლატონ ივანეს-ძე **ქიქორია**—სოხუმის სასოფლო ოლქი
გოგოშა გიორგის-ასული **შართავა** —ფოთის ოლქი
კალისტრატე ნესტორის-ძე **შეროზია** — ზუგდიდის ოლქი
აკაკი ალექსის-ძე **ხორავა** — გეგეჭკორის ოლქი
ილია ერასტის-ძე **დოლიძე**—ჩოხატაურის ოლქი
გიორგი თევდორეს-ძე **სტურუა** — ბათუმის ოლქი
ისიდორე ანდრიას-ძე **სილაგაძე**—სამტრედიის ოლქი
ვლადიმერ ერემიას-ძე **სალაძე** — ზესტაფონის ოლქი
ალექსი ნიკოლოზის-ძე **საჯაია** — ქუთაისის ოლქი
გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **გორგიძე** —ამბროლაურის ოლქი
დავით ამბაკოს-ძე **კაპანაძე** — ჭიათურის ოლქი
ნინო სიმონის-ასული **ბირკაძე** — ხაშურის ოლქი
ვლადიმერ გიორგის-ძე **დეკანოზოვი**—ახალციხის ოლქი
სერგეი არსენის-ძე **გოგლიძე** — ახალქალაქის ოლქი
ვასილ იაკობის-ძე **ეგნატაშვილი**—გორის ოლქი.
გიორგი ალექსანდრეს-ძე **გოჩაშვილი**—სტალინირის ოლქი
მიხეილ მაქსიმეს-ძე **გვიშიანი** — თბილისის ორჯონიკიძის ოლქი
სერგეი მარტინის-ძე **იშხანოვი** — თბილისის საქალაქო ოლქი
დავით ალექსის-ძე **ჭიჭინაძე** — თბილისის—სტალინის ოლქი
პეტრე ათანასეს-ძე **ვერშკოვი** — თბილისის 26 კომ. სახ. ოლქი.
ანდრია ვასილის-ძე **წიკლაური**—თბილისის—ლენინის ოლქი
მიხეილ ედიშერის-ძე **ჭიაურელი**—თელავის ოლქი
გრიგოლ თეოფილეს-ძე **კარანაძე** —სიღნაღის ოლქი.
ბაგრატ ნიკოლოზის-ძე **არუთინოვი**—გურჯაანის ოლქი

აფხაზეთის ასსრ

სიმონ გიორგის-ძე **ხოშტარია** — გაგრის ოლქი
სნატი ხოტოს-ძე **კოკოსკირია** — კოლდახვარის ოლქი
მიხეილ კონსტანტინეს-ძე **დელბა**—გუდაუთის ოლქი
კირილე გიორგის-ძე **ბეჟვაია** — სოხუმი — კარლ ლიბკნეხტის ოლქი
ვიქტორ იოსების-ძე **კუკბა**—სოხუმი—საქალაქო ოლქი
მიხა გრიგოლის-ძე **ცხაკაია** —სოხუმის სასოფლო ოლქი
სტეფანე სოლომონის-ძე **მამულოვი** — გულრიფშის ოლქი
ჟუშა ბოგოზის-ასული **ახუბა** — ოჩემჩირის ოლქი
ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ხუნტუა**—ტყვარჩელის ოლქი
ალექსანდრე ეპიფანეს-ძე **თოფურიძე** — გალის ცენტრალური ოლქი
ალექსანდრე იორდანის-ძე **მირცხულავა**—გალის სასოფლო ოლქი

აჭარის ასსრ

იოსებ დიმიტრის-ძე **კოჩლამაზაშვილი**—ბათუმი — შაუმიანის ოლქი
ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე **მერკულოვი** — ბათუმი— ბერიას ოლქი
ვაგან გრიგოლის-ძე **გრიგორიანი**—ბათუმი—ფრუნზის ოლქი
ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე **რუხაძე** —ბათუმი — ზღვისპირა ოლქი
აკაკი იოსების-ძე **ქვათაძე** — ქობულეთის ოლქი
ალექსანდრე გიორგის-ძე **მაჭავარიანი** — ჩაქვის ოლქი
თამარ მინას-ასული **ბირკაძე** — კაპანდიბის ოლქი

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქი

ვლადიმერ ივანეს-ძე **ხუბაევი** — სტალინირის საქალაქო ოლქი
რეზო ივანეს-ძე **ბერუაშვილი** — სტალინირის სასოფლო ოლქი
ივანე პროკოფის-ძე **ვაცეკი**—ზნაურის ოლქი
ვლადიმერ გედევანის-ძე **ცხოვრებაშვილი** — ლენინგორის ოლქი
ნადეჟდა ანდრიას-ასული **კოჩიევა** —ჯავის ოლქი

◇

დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-55 მუხლის საფუძველზე ადგენს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1938 წლის 12 იანვარს ქ. მოსკოვში.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე—**მ. კალინინი**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 19 დეკემბერი.

საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალედ ესალმებიან რევოლუციის ფხიზელ გუშაგს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან მუშაკებს, საგანგებო კომისიის—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს—შინსახკომის 20 წლისთავზე

ბოლშევიკური სალამი საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს, მტკიცე სტალინელს— ამხანაგ ნ. ი. ე ჟ ო ვ ს!

ამხ. ნ. ი. ეჟოვი
სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სახელმწიფოებრივი უშიშროების გენერალური კომისარი

სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომის ოცი წლისთავისათვის

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო — შინსახკომის 20 წლისთავის დღეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან შინსახკომის მუშაკებსა და მეომრებს, რომლებიც პატიოსნად და თავდადებით ასრულებენ თავის მოვალეობას საბჭოთა ხალხის წინაშე შპიონაჟთან, მავნებლობასთან, დივერსიასთან ბრძოლის საქმეში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უსურვებენ შინსახკომის მუშაკებსა და მეომრებს სრულ წარმატებებს მათს მუშაობაში ხალხის მტრების აღმოსაფხვრელად.

გაუმარჯოს შინსახკომს, რისხვას საბჭოთა ხალხის მტრებისათვის!

სსრ კავშირის სახკომსაბჭო
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

შინსახკომი—ამხანაგ ნ. ი. ეჟოვს

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სახელით მხურვალედ მივესალმები და ვულოცავ სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო - შინსახკომის 20 წლისთავის დღეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა მუშაკს — სახელოვან რიგით ჩეკისტებს, მათ მეთაურებსა და უფროსებს.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ გმირ ჩეკისტებს მაღლა უჭირავთ საბჭოთა საზღვრებისა და ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის დაცვის დროშა. სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო - შინსახკომის ოცი წელი — ეს არის ბრძოლათა და გამარჯვებათა ოცი წელი ხალხის ყველა ჯურისა და ფერის საზიზღარ, როგორც უცხოეთიდან შემოგზავნილ, ისე ჩვენს ქვეყანაში დამსხვრეულ და სულმობრძავი ექსპლოატატორული კლასების მიერ წარმოშობილ მტრებთან.

გისურვებთ თქვენ, ამხანაგებო, სრულ წარმატებას თქვენს არაიოლ, მაგრამ საპატიო და სასახელო მუშაობაში ჩვენი დიადი სამშობლოს, სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი
კ. ვოროშილოვი.

ჩვენი უღრმესი მადლობა შინსახკომელთა სახელოვან არმიას

სახელოვან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი უღრმესი სიყვარულის, უდიდესი მადლობის და აღტაცების გამომხატველი იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კრება, რომელიც მიეძღვნა შინსახკომის არსებობის ოცი წლისთავს.

თუ დედამიწის ერთი მეექვსედი სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობს, თუ მან სტალინური კონსტიტუციით დააგვირგვინა ოცი წლის ბრძოლითა და შრომით მონაპოვარი გამარჯვება, ეს ჩვენი სახელოვანი შინსახკომის თავდადებული გმირობის ღვაწლიცაა.

შინსახკომის უდიდეს დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს წინაშე, — ამბობენ მწერლები **ს. ეული, გ. ბუხნიკაშვილი, პანტ. ჩხიკვაძე, სოლ. თავაძე, ი. ლისაშვილი** და სხვები, — მჭერმეტყველურად მოწმობენ მისი გმირული ბრძოლის უამრავი ფაქტები, შინსახკომის ოცი წლის ისტორია საბჭოთა ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ უწყვეტი გმირული ბრძოლის მატიანეა, რა მტრულ ძალას არ მოახრევია მან ქედი, რა ძალა არ მოდრიკა და გაანადგურა მან. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომების პერიოდში მან აღკვეთა რკინის ხელით კაპიტალისტურ სახელმწიფოების დაზვერვათა მუშაობა, ბოლო მოუღო მათ ტერორისტულ დივერსიულ მოქმედებას წითელი არმიის ზურგში. ამ ბრძოლის ორგანიზატორი და ჩამგონებელი იყო შეურყეველი ბოლშევიკი, ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ფელიქს ძერჟინსკი, რომლის ხელმძღვანელობით შემუსვრილ იქნა შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის ზნელი ძალები.

სამოქალაქო ომების დასრულების შემდეგ ოდნავადაც არ შენელებულა უცხოეთის კონტრდაზვერვათა ფარული ბრძოლა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ. უცხოეთის ბურჟუაზიის, რუსეთიდან გადახვეწილი კაპიტალისტების და მემამულეების, კაპიტალის მაგნატების—დეტერდინგების და სხვების დახმარებით ეწყობოდა დივერსიული მოქმედება დონის მაღაროებში, მათი კარნახით მოქმედებდა „სამრეწველო პარტიის“ ტერორისტულ — დივერსიული ჯგუფი და სხვა. ყველა ეს ორგანიზაცია აღმოაჩინა და გაანადგურა საბჭოთა დაზვერვამ — სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ყველა ექსპლოატატორული კლასის საბოლოო ლიკვიდაცია იწვევს ფაშისტური სახელმწიფოების ველურ გაბოროტებას. ექსპლოატატორული კლასების ნამსხვრევები ჩვენს ქვეყანაში გადავიდნენ ბრძოლის ყველაზე უმსგავსო, მხეცურ ფორმებზე. მათ თავის აგენტებად გაიხადეს ნაძირალები, ფაშიზმის დაქირავებული ლაქიები—ტროცკისტულ - ზინოვიევური, რიკოვ-ბუხარინული გარეწრები, რომლებიც პირწავარდნილ ბანდიტებად გადაიქცნენ და ტერორით, დივერსიით, ჯაშუშობით ცდილობდნენ ჩვენი აყვავებული ქვეყნის გადაქცევას იაპონურ-გერმანულ იმპერიალიზმის კოლონიად. მაგრამ რევოლუციის ფხიზელი გუშაგის, სახელოვან შინსახკომის ორგანოებმა დარაზმეს რა მშრომელი მასების რევოლუციური სიფხიზლე, ბოლო მოუღეს ტროცკისტ - ბუხარინულ — რიკოვულ ბანდების საზიზღარ ბოროტმოქმედებას.

მთელს ქართველ საბჭოთა მწერლობას არ შეუძლია არ გამოხატოს თავისი უღრმესი მადლობის გრძნობა და აღტაცება იმ გამჭრიახობით, შორმჭვრეტელობით, სიფხიზლით, სოციალისტური სამშობლოსადმი სტალინური თავდადებით, რომელიც გამოიჩინა უდრეკმა სტალინელმა ამხანაგმა ეჟოვმა.

ქართველი საბჭოთა მწერლობა განიცდის სიამაყის გრძნობას იმის გამო, რომ საქართველოს შინსახკომიც წარმოადგენს საგანგებო კომისიისა და პოლიტსამმართველოს საუკეთესო საბრძოლო ტრადიციების განუხრელ მიმდევარს, მასების რევოლუციური სიფხიზლის ერთერთს საუკეთესო ორგანიზატორს და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდების ურყევ შემსრულებელს. საქართველოს შინსახკომმა დაუფასებელი ამაგი დასდო ჩვენს ქვეყანას და მის მშრომელ მასებს იმით, რომ ამხანაგი **ლავრენტი** ბერიას ხელმძღვანელობით გაცამტვერა და მიწის პირისაგან აღგავა ქართველი ხალხის მოსისხლე, დაუძინებელი მტრები — მენშევიკები, ნაციონალისტური პარტიები და ტროცკისტ — ბუხარინელთა სისხლიანი ბანდები.

შინსახკომის შეუდრეკელი ძლიერების საწინდარი იყო და არის ის, რომ იგი თავის ბრძოლაში მუდამ ეყრდნობოდა მშრომელ მასებს, მათ დახმარებას და თანამშრომლობას.

ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელსაც მუდამ ახსოვს კაპიტალისტური გარემოცვა და დიდი ბელადის მოწოდება რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ, მთელს ქართველ ხალხთან ერთად არ დაზოგავს თავის ძალღონეს, რომ ხელი შეუწყოს სოციალიზმის ფხიზელი დარაჯის შინსახკომის იმ დიდ საპატიო ისტორიულ ბრძოლას, რომელსაც ის ასე თავდამოდებით აწარმოებს ხალხის მტრების, სამშობლოს მოღალატეების შესამუსრავად, მათ საბოლოოდ გასანადგურებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების და მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომის მტკიცე გუშაგს, შინსახკომელთა სახელოვან არმიას!

გაუმარჯოს შინსახკომის ფოლადისებურ ხელმძღვანელს ამხანაგ ეჟოვს!

გაუმარჯოს მტკიცე სტალინელს, საქართველოს შინსახკომის პირველ ორგანიზატორს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამხ. ბ. დ. ბერმანის, ვ. ა. კარუცკის, ე. ფ. კრივეცის გ. ა. ლუპეკინის, დ. მ. სოკოლინსკის, ნ. ნ. ფედოროვის და სხვათა დაჯილდოების შესახებ

მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა სანიმუშოდ და თავდადებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააჯილდოვა:

ლენინის ორდენით:

1. **ბერმანი** ბორის დავითის-ძე,
2. **კარუცკი** ვასილ აბრამის-ძე,
3. **კრივეცი** ექვთიმე თომას-ძე,
4. **ლუპეკინი** გერმანე ანტონის-ძე,
5. **სოკოლინსკი** დავით მოსეს-ძე,
6. **ფედოროვი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე,
7. **ჩისტოვი** პავლე ვასილის-ძე,
8. **ვალუხინი** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე,
9. **ხოხხორინი** გრიგოლ სერგეის-ძე.
10. **დიმიტრიევი** დიმიტრი მათეს-ძე.

წითელი დროშის ორდენით:

1. **გრეჩკინი** სერგეი პავლეს-ძე,
2. **მაგო** პეტრე ივანეს-ძე,
3. **ნიკოლსკი** სერგეი ალექსანდრეს-ძე,
4. **სტეფანოვი** ივანე ივანეს-ძე,
5. **შიგოლევი** ვასილი ივანეს-ძე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვებულია 238 კაცი. მათ შორის: ისაკ დავითის-ძე **აბკინი**, ისაი იაკობის-ძე **ბაბიჩი**, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ვალუხინი**, ივანე ანდრიას-ძე **გორბალენი**, ანდრონიკ ანდრონიკის-ძე **დავთიანი**, ივანე ნიკოლოზის-ძე **ევტუშენკო**, ივანე ანდრიას-ძე **ჟაბრევი**, ნიკოლოზ ანდრიას-ძე **ზაგვოზდინი**, ვლადიმერ ივანეს-ძე **ივანოვი**, ვლადიმერ სტანისლავის-ძე **კარპოვიჩი**, ივანე კირილეს-ძე **ლაზარევი**, თევდორე პეტრეს-ძე **მალიშევი**, სარდიონ ნიკოლოზის-ძე **ნადარაი**, ივანე ივანეს-ძე **ოსტროვსკი**, და სხვები.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 154 კაცი. მათ შორის: ივანე ილიას-ძე **ანტონოვი**, ვასილ მიხეილის-ძე **ბლოხინი**, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **ვოინოვი**, მიხეილ აბრამის-ძე **გრინშტეინი**, ბეგირბეკ ურუსბის-ძე **ძიოვი**, ალექსანდრე მიხეილის-ძე **ემელიანოვი**, მიხეილ ალექსანდრეს-ძე **ჟურავლოვი**, მიხეილ სიმონის-ძე **ზარუბინი**, ანატოლ ივანეს-ძე **ილინსკი**, მიხეილ ილიას-ძე **კუზინი**, იოსებ იაკობის-ძე **ლორკიში**, ერნესტ ანასის-ძე **მაჩი**, ივანე ვასილის-ძე **მირონიჩევი** და სხვები.

მიძღვნა ხელთნაწერ „ვეფხის-ტყაოსნის“ ოსტატებისადმი

სიმონ ჩიქოვანი

ვეფხის-ტყაოსანს, ყალმით დახატულს,
სუფთად დაწერილს, ავიღებ ხელში,
ვხედავ: დაჰყურებს ალვა ნაკადულს
და წეროები მიჰქრიან მზეში.
ეგებ დააფრთხო ფრინველი ბერმა,
კალთას შლიდა და ეძახდა ქშიოს.
და შეიხიზნა ფრინველი ვეფხვმა
წიგნში შემოყვა ფერების ფიორს.
მას გადამწერმა გაუღო კარი
და გადმოკიდა მხატვარმა სტრიქონს,
ფრთებს უგრილებდა ოცნებათა ქარი,
რომ შაირების ჩუქურთმათ იყოს.
ახლა შაირთან სცხოვრობს ფრინველი,
წიგნშია ველი, განფენა მზისა,
ზღვა არის ვრცელი, ცა საკვირველი
და ორბს უმიზნებს ვაჟკაცი ისარს.
ნესტანებივით ვეფხვნი გარშემო,
შემოსხდომიან ხელთნაწერ რაინდს.
და მზა ფურცლები რომ დაამშვენონ,
თათებს უწვდიან წკრიალა შაირს.
გახსენებია რამინ და ვისი
წყაროსთან დამჯდარ ტყავიან მხედარს
ტურფად ჰკივნებს მერანი მისი
და ვეფხვის სახეს წყაროში ხედავს.
მეორე მოყმეც ველზე ტაიჭით
მიჰქრის და ზეცა ვარსკვლავით ყვავის.
და მთელ ბუნებას სიმღერით დაჭრილს
ამშვენებს ვეფხვის გაშლილი ტყავი.
ამ სურათებზე, მუშაობს ორი
და გადამწერი მიუძღვის მხატვარს.
ფურცელზე დგება შაირი სწორი
და მას ყალამი ჩუქურთმასართავს.
შენც რაინდი ხარ, ოსტატო ყალმის,
მომჩუქურთმებო, ტრფიალის ფრთხილად.
როგორც ღამეში ყივილი მამლის,
შენი ყალამიც ეძახდა დილას.
დაჰგმე წარმართმა ხატის ფიცარი,—
მკვდარი წმინდანი აღარა ჰკოცნე
და ეშხიანი ფუნჯის ისარი
მიჯნურებსა და ფრინველებს სტყორცნე
ხატავდი წიგნს და, ოსტატო, გსურდა,
ნახატში გეთქვა ყოველი ბწკარი.
გაექეც ბერს და შაირში სუფთად
ყალმით შეაღე ბუნების კარი.
შენ მიგიძღოდა წინ გადამწერი,
ვით ავთანდილი უძღვის ტარიელს.
და სტრიქონები ხალხის ნაფერი
თქვენ ხელმეორედ ხალხში ჩარიეთ.
დახედეთ შაირს როგორც განთიადს
შეებრძოლეთ და ველარ იმონეთ.
ახლდა ირანი და ბიზანტია
რაინდებივით გაწვრთნილ სტრიქონებს.
ჰქონდა მოქცევა დარბაისლური,
მოძმე კაცობა, ტრფობა ფარული.
ახლდა სამშობლოს ცა დაისრული
და მონავარდე ცხენთა თქარუნი.
ახლდა სიმაგრე ბოსტან ქალაქის,
თმოგვის ციხე და თლილი ვარძია.
ხალხის გული და სიბრძნის მარაგი
და საქართველო მხრებით ასწია.
თქვენც, ოსტატებო, ღამეს ათევდით,
თან ფართქალებდით მგოსნის ბადეში
სწვავდით სანთლებს და შაირს ანთებდით
წიგნად გადაშლილ ქართულ ღამეში.
შემდეგ, როდესაც მთებზე აწვდილი
ცას ეკვრებოდა რიჟრაჟის ფერი,
ხმლებს აელვებდით, წიგნით აღზრდილნი,
რომ შუა გაგეპოთ სამშობლოს მტერი.

24 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, რუსთველის სახელობის თეატრში გაიხსნება საკავშირო საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

პლენუმის დღის წესრიგი

1. „რუსთველი და მისი პოემა“ (მომხსენებელი კ. ინგოროყვა)

„საქართველოს მატერიალური და ინტელექტუალური კულტურა რუსთველის ეპოქაში“ (მომხსენებელი პროფ. ივ. ჯავახიშვილი).

„რუსთველი და თანამედროვეობა“ (მომხსენებელი შ. ნუცუბიძე).

პოემა „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ (მომხსენებელი მ. პავლენკო).

2. „ქართული საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში“ (მომხსენებელი კ. ჩარკვიანი).

3. ს. ს. ს. რ. კ. საბჭოთა მწერლების კავშირის მიმდინარე ამოცანები (მომხსენებელი ვ. სტავსკი).

დირბელი მოყმის ამბავი

სერგო კლდიაშვილი

ბრძოლით დაღლილმა ლანგ-თემურმა დასტოვა საქართველო.

ექვსჯერ შემოესია და გადათელა მან ეს პატარა ქვეყანა, მაგრამ აქედან ყოველთვის მხოლოდ დამარცხებულის გრძნობით გაბრუნებულა. უკანასკნელად ქართლის ხევებში და ველებზე დაჰკარგა თითქმის ყველა, ვინც მისი სამხედრო მშვენება და ნახევარ-დედამიწის რისხვა იყო. ლანგ-თემური გრძნობდა, რომ ამიერიდან ველარ განახორციელებდა ოცნებას — დაეპყრო შორეულ დასავლეთით მდებარე ფრანგთა სახელმწიფონი.

გაბოროტებულმა წასვლისას დაანგრია ტაძრები, დაარბია მონასტრები, გაძარცვა და ცეცხლს მისცა ქალაქი და სოფელი. მონღოლთა ურდოებმა გაირეკეს ჯოგი და ფარა, ხოლო საკუთრად სარდლისთვის წაიღეს ჭედილი ოქრო და ვერცხლი, სამეფო კარის განძი და წიგნთსაცავები. ბერძნული, ირანული, არაბული და ქართული ხელნაწერებით დატვირთული აქლემების ქარავნები ლანგ-თემურს გაჰყვნენ აზიისაკენ.

მთებში გახიზნულმა ხალხმა მაშინ მოაშურა მიტოვებულ კერას და ხელახალი ცხოვრება დაიწყო.

დირბის ბატონი გარსევანიც, აქამდე თრიალეთის უღრანს შეფარებული, თავის სახლკარს დაუბრუნდა.

გარსევანმა სხელდახელოდ მოაწყო გავერანებული სასახლე, ბრძანა ეკლესიების აღდგენა და შემკობა და ბოლოს სოფლებზედაც იზრუნა.

მაგრამ გარჯამ და ხანმა ჭმუნვა მაინც ვერ განუქარვეს. მთებში ხეტიალის დროს მეუღლე გარდაეცვალა და ამ მწუხარებას კიდევ უფრო მწვავედ განიცდიდა შინ, სადაც აღარ ისმოდა დიდიხნიდან შეჩვეული საყვარელი ხმა.

დასევდიანებულმა მოხუცმა მთელი მგრძნობიერება და ფიქრი თავის ერთად-ერთ ასულზე, რუსუდანზე გადაიტანა. რუსუდანის აღმზრდელი აქამდე დედა იყო. საბატონოს საქმებით გართული გარსევანი ხშირად ვერ ხედავდა შვილს, მაგრამ სავსებით ენდობოდა სათნო მეუღლეს და დარწმუნებული იყო, რომ გოგონას ღრმად ჰქონდა ჩანერგილი ღვთისადმი მორჩილება და შიში და სოფლის სიამენი ვერასოდეს ვერ შებილწავდნენ.

გარსევანი ცდილობდა გაერთო შვილი, რომ ახლა მას უდედობა არ ეგრძნო. მაგრამ რუსუდანი არაფრისადმი ხალისს არ იჩენდა; ირჩევდა მარტოდ ყოფნას, მეტწილად იჯდა აივანზე თავის საყვარელ კუთხეში და მტკვრის ხეობას გაჰყურებდა.

გარსევანს ყველაფერი მოსწონდა შვილისა: ისიც, რომ ჩუმი და მორჩილია, ისიც, რომ მაღალსა და თეთრს შუბლზე უკვე უფრო შავად სჩანან წვრილი, ბოლოში მოხრილი წარბები. ამით ის დედას ემსგავსებოდა. უფრო კი ის უხაროდა, რომ სამღვთო წიგნთა მოყვარული იყო. ამაში გარსევანი თავის მსგავსებას ხედავდა და ხელს უწყობდა გაწვრთნილიყო იმ წიგნების კითხვაში, სადაც მარტვილთა ცხოვრება იყო აღწერილი.

მრავალ საუნჯეთა შორის მტრის ურდოს სახლიდან წაელო ძვირფას ყდებში ჩასმული საეკლესიო და აგრეთვე საერო წიგნები, რომლებიც გარსევანისგან დაფარულად რუსუდანის ოთახში ინახებოდა. წასაკითხავი აღარაფერი დარჩენილიყო. ცნობისმოყვარე რუსუდანი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ახლა იმით, რასაც უამბობდა შინ გაზრდილი გოჩა. ის იყო ახალგაზრდა შინაყმა. ბავშვობიდანვე წამოყვანილი მშობლებისგან, ბატონის კარზე გაზრდილი და დავაჟკაცებული.

სილამაზისა და მახვილი გონების პატრონი გოჩა მოაშორეს სხვა მწყემს ბიჭებს, ასწავლეს წერა-კითხვა, ხოლო როცა წამოიზარდა და წიგნების კითხვასა და გადაწერაში გაიწაფა, ბატონმა დაიახლოვა და საბოლოოდ თავისთან დაიტოვა. დილით აკითხებდა ლოცვებს, მწუხრის ჟამს ისევ ლოცვებს, თავისუფალ დროს კი „წმიდა მამათა ცხოვრებას“ და „სულისათვის“ საჭირო სხვა წიგნებს. გოჩას მომავალი გარსევანს თავის გუნებაში დიდიხნის კიდეც გადაეწყვიტა: [illegible] მოხუცი კარის მოძღვრის მაგიერ მალე ეს ყმა უნდა კურთხეულიყო. ბატონი დარწმუნებული იყო, რომ ის კმაყოფილი იქნებოდა თავისი ბედით.

მთებში ხიზნობის დროს გოჩამ რამდენჯერმე თავგანწირვა გამოიჩინა, რომ გაჭირვებას შეუჩვეველ ბატონისა და მისი ასულისათვის ტანჯვა შეემსუბუქებინა. იმ უბედურ თვეების განმავლობაში გარსევანმა და რუსუდანმა კიდევ უფრო დაიახლოვეს ერთგული გოჩა.

მეგობრობა, დაწყებული იქ, სადაც ყველანი ერთნი იყვნენ განსაცდელის წინაშე, შინ დაბრუნებისას კიდევ უფრო განმტკიცდა რუსუდანსა და გოჩას შორის. კეთილი ყმა მუდამ ზრუნავდა ბატონის ასულზე და მარტოობის სიმძიმეს უქარვებდა. დაინახავდა თუ არა აივნის კუთხეში მარტო მჯდომარეს, მოკრძალებით მივიდოდა, ფერხთით მოიკალათებდა და გასართობად უამბობდა მრავალ რამეს, რისი მოსმენაც უყვარდა რუსუდანს.

გარსევანს მრავალჯერ კმაყოფილებით შეუნიშნავს, თუ როგორ უამბობდა გოჩა რუსუდანს „წმიდა შუშანიკის ცხოვრებას და წამებას“, სვეტიცხოველში დაკრძალულ ნეტარ სიდონიას ღვაწლს.

— საკმარისია შეხედო სახეზე, — უფიქრია ხოლმე გარსევანს, — და დაიჯერებ, რომ მიწიერი არაფერი მიკარებია მას, ეს ყმა თვით განგებამ მოუვლინა დაიცვას სახლკარი ბოროტისა და უწმინდურისაგან.

ასე სწამდა გარსევანს და არასოდეს არ უფიქრია, რომ გოგონამ — აქამდე ბავშვად სთვლიდა რუსუდანს, თუმცა მას მკერდი უკვე ამაღლებოდა—უფრო სხვა მიზეზის გამო დაიახლოვა გოჩა.

რუსუდანი მუდამ მორჩილად ყურს უგდებდა „წმინდანთა“ ამბავს, მაგრამ უფრო უყვარდა იმის მოსმენა, რასაც ჭაბუკი ყველასგან საიდუმლოდ მოუთხრობდა. გოჩა ხან უკითხავდა, ხან უამბობდა გმირთა და მიჯნურთა საკვირველ თავგადასავალს და რუსუდანიც მღელვარებით მხოლოდ ამას უსმენდა. იხელთებდა თუ არა დროს, იხმობდა გოჩას და უბრძანებდა ეამბნა მისთვის გმირი როსტომის თავგადასავალი, ვისი და რამინის სევდიანი ზღაპარი, ხოლო უფრო ხშირად ტარიელისა და ნესტანის ამბავი, რუსთველის თქმული. ეს წიგნი, გარსევანისგან აკრძალული, გახიზვნამდე ფარულად ჰქონდა შენახული რუსუდანს. როცა დაბრუნდა, ველარ იპოვა. სხვა წიგნებთან ერთად დაკარგულიყო. მაგრამ გოჩას თავიდან ბოლომდე ზეპირად ახსოვდა და ოსტატურადაც ამბობდა. სმენად საამო ჭაბუკის ხმას, ოდნავ ამღერებულს ლექსის თქმის დროს, ხშირად აუთრთოლებია რუსუდანი. ახალგაზრდა მეოცნებე ქალბატონს ავთანდილი იმ სახით წარმოედგინა, როგორიც ეს ერთგული ჭაბუკი იყო.

ქალმა იცოდა კიდევ სხვა მისი ღირსებანი, ესენიც დაფარული ბატონისაგან.

გარსევანს, რომელიც სხვა დარბაისელთა შორის გაჰყოლია ხოლმე მეფეს იპოდრომებზე და უტევანზე ასპარეზობის საყურებლად, არაერთხელ ხლებია გოჩაც. მან ისწავლა იქ ცხენოსნობა. რხევა ისრისა და სხვა მრავალი სამამაცო ზნე. ავთანდილისა და ტარიელის რაინდობით დადალული ჭაბუკი ცდილობდა მიებაძა მათთვის და შეიძლება იდუმალ კიდეც ოცნებობდა საყვარელ გმირთა შესადარი გამხდარიყო.

რუსუდანმა ერთხელ გადასწყვიტა საკითხავად აღედგინა ზოგი უფრო საყვარელი ლექსი რუსთველიდან, შეითქვა გოჩა და მალულად შეუდგა წერას. საშიში იყო, ბატონს არ გაეგო. ისინიც ფრთხილობდნენ.

მხოლოდ ასეთ წუთებში გრძნობდა ბედნიერად თავს რუსუდანი. სხვა დროს კი ერთფეროვანად და ნაღვლიანად გადიოდნენ მისი დღეები.

მოსაწყენი გახდა ცხოვრება გარსევანისთვისაც. მეზობელ და ნათესავ-თავადებს წინად ხანდახან მაინც დაუცდებოდათ ფეხი და ფრინველით განთქმულ მის ჭალებში სანადიროდ ესტუმრებოდნენ. ახლა არავინ სჩანდა. ან დრო არ ჰქონდათ, ან ხალისი.

დღით გარსევანს კიდევ, როგორც იყო, გაჰქონდა თავი. მოწყენილობა და მარტოობა აზრიალებდა ეზოში — შეიყვანდა სამეძებროში, იქიდან საჯინიბოში, საჯინიბოდან მარანში, მარნიდან ისევ სამეძებროში. მზის ჩასვლიდან კი აღარ იცოდა, როგორ გაეთრია დრო. დაყრდნობილი აივნის მოაჯირს, გაჰყურებდა ბინდში გახვეულ სივრცეს, და ძალაუნებურად რამეზე უნდა ეფიქრა. მის ოცნებას გადაღმა არ უშვებდა საბატონოს შემორტყმული მთა, მაგრამ იმ გარემოს, რასაც თვალი სწვდებოდა, ავსებდა ისეთივე ახირებული ნაოცნებარით, როგორიც თვით იყო. ათასგვარი საოცრებანი ელვებდნენ გონებაში. საკვირველნიც იყვნენ და საჭირონიც, რომ მისი პატარა სამფლობელო მკვიდრ ფეხზე დამდგარიყო.

ოცნებობდა გარსევანი ცეცხლისმფრქვეველ უძირო თხრილებზე. მთელი ქვეყანა გარშემორტყმულია ასეთი თხრილებით და მტერი საზღვარს ველარ გადმოდის. ან და განა არ შეიძლება მაღალი საგუშაგონი აგონ—ერთი არაგვის შესართავთან, მეორე მესხეთში—და როცა საჭირო იქნება, იქიდან ჩირაღდნებით ნიშანი მისცენ: მზად იყავით, მტერი ახლოვდებაო? გაიხედავს გარსევანი ყოველ დაღამებისას, და თუ მტერია—ჯარს შეჰკრებავს, ოჯახს დროით გახიზნავს. ხოლო თუ ნიშანი არა სჩანს, მაშ მშვიდობა ყოფილა, გამჩენს მადლს ეტყვის და უზრუნველად დაიძინებს.

იმ წელიწადს შემოდგომა ნაადრევად მოძლიერდა. გარემომ ფერი შეუმჩნევლად იცვალა. ტყეები აფერადდნენ. მუხას და წაბლს კიდევ შერჩენოდათ მწვანე ტოტები. ყველაზე ადრე ყვითლად შეირთო იფანი, ვერხვი და კოპიტი, შორიდანვე ადვილად განირჩეოდა წითლად შეღებილი შხამიანი იელი. გადამხმარ ნაპირალიდან მწყერის ჭუკჭუკი ისმოდა. მინდვრებზე ქედნის გუნდი ლალობდა. ფრინველს არავინ აფრთხობდა. მრავალი ნაცადი მონადირე ბრძოლიდან აღარ დაბრუნებულა, შინ მყოფთ კი ათასი საზრუნავი ჰქონდათ.

ერთ საღამოს, როცა გარსევანი აღარავის მოელოდა, სტუმრად ეწვია მეზობელი თავადი და ყრმობის მეგობარი ზაზა.

ერთი შემთხვევის შემდეგ, როცა გარსევანმა საჯაროდ უსაყვედურა ზაზას ცბიერობა, მათი მეგობრობა გაიბზარა. ამ დღიდან ზაზამ გული იბრუნა, თუმცა არაფერი დაიმჩნია და გარეგნულად კეთილი განწყობილება შეინარჩუნა.

სხვა მდგომარეობაში ეს ამბავი შესაძლოა უბედურებითაც დამთავრებულიყო. მაგრამ, ცოდვა გატეხილი სჯობს, თითონაც გრძნობდა, რომ შემკული იყო ამ თვისებით და და ფორზაურის ატება მხოლოდ გაუხმიანებდა საზრახავს. გარდა ამისა, ვინ არ იცნობდა გარსევანს, ვინ არ იცოდა მისი ახირებული ჩვეულება ყველასთვის დაურიდებლად ეთქვა, რასაც ფიქრობდა! ის თავისი გონებითა და თვალით ზომავდა ყველაფერს. ჭეშმარიტების მღაღადებლად მიაჩნდა თავი და ღრმად სწამდა, რომ უზადო იყო თვით და შემდეგ მისი საგვარეულოც. ყველას მობეზრებული ჰქონდა მისი ყბედობა, მაგრამ უარესს გაურბოდნენ და უთმობდნენ. სხვაზე უფრო ისევ ზაზა მეგობრობდა გარსევანს, თუმცა იდუმალ ნატრობდა ოდესმე შემთხვევა მისცემოდა სამაგიერო გადაეხადა და მეგობრულადვე დაენახვებინა, რომ არც ისე ურყევია მისი ციხე-გალავანი.

ჩვეულებრივი სიმრავლით აღარ ახლდა ზაზას ამალა. მეჯინიბე, რამდენიმე ბაზიერი და კარის მოძღვარი მამა მირიანი. მეტი არავინ. მამა მირიანს ზაზა არ იშორებდა. ავადმყოფი ზაზა ყოველ წუთს ელოდა სიკვდილს და შიშობდა უზიარებლად არ მომკვდარიყო.

გარსევანმა სიხარულით მიიღო სტუმარი. ეზოში მიეგება, გადაეხვია მეგობარს და შინისკენ გაუძღვა.

— ნელა... ასე ჩქარა არ შემიძლია,—შეჩერდა ზაზა, როცა კიბეზე ორიოდე საფეხური აიარა. — გახსოვს, ალბად, რომ მე წინადაც გულის ხუთვა მქონდა. ბოლო დროს კი მიმატა. ხანდახან ისე შემიკრავს სუნთქვას, რომ მგონია წუთისოფელს ვეთხოვები.

გულისპირზე ღილები შეიხსნა, ფართოდ გაღებული პირით ჰაერი ხარბად შეისუნთქა და ამოიოხრა:

— არ ღირს, რასაკვირველია, ზრუნვა სიცოცხლეზე. მაგრამ ჯერ უნდა ვიცოცხლო იმისათვის, რომ მრავალი ჩემი შეცოდება მოვინანიო და სხვა ცხოვრებისთვის მოვემზადო. შენც მრავალჯერ გითქვამს ეს ჩემთვის.

შეისვენა, დამშვიდდა და აივანზე ფრთხილად აიტანა თავისი მძიმე ტანი.

შინ და გარედ ამოძრავდნენ. ფარეშები წამოიშალნენ. ეზოში გაოფლილ ცხენებს აურევდნენ. ფარეხში მიძინებული ფარა აფორიაქდა. სამზარეულო ახმიანდა და გახალდა.

ზაზამ თვალი მოავლო სასახლის ოთახებს და გაკვირვება გამოსთქვა, თუ როგორ მოასწრო გარსევანმა მცირე ხანში გავერანებულის აღდგენა.

— მე შენზე და მრავალ სხვაზე უფრო დავზარალდი,—სთქვა მან, — ჩემი სოფლები იმ გზაზე მდებარეობენ, რომლითაც მტრებმა გაიარეს. მიმავალნი არაფერს ინდობდნენ. მე თითქმის, ყველაფერი დავკარგე. საყვარელი ძმაც კი დამეღუპა ბრძოლაში. რას იზამ, ასეთი ყოფილა განგების ნება. თავი დავანებოთ ამაზე ფიქრს. იმედი ვიქონიოთ, რომ დარჩენილი სიცოცხლე არ გაგვიმწარდება. მოხარული ვარ, მხნეს გხედავ და რუსუდანიც ჯანმრთელად გყოლია. დიდი სურვილი მქონდა მენახე და შენთან რამდენიმე დღე გამეტარებინა. თუ გახსოვს, ამ თვეში მუდამ შენი სტუმარი ვყოფილვარ. კარგი სანადირო დღეებიც დადგა. შენს ტყესა და მინდვრებში ხოხობი და ქედანი ისე მომრავლებულა, რომ ხელით დასაჭერი გამხდარან. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ბაზიერებს დაფებზე გარჯა არ დასჭირდებათ, ნანადირევს კი უხვად მოვიტანთ.

ვახშმის დროს დაწვრილებით მოითათბირეს ხვალინდელ ნადირობაზე. ზაზამ სიამოვნებით მოიგონა ჯაგნარი, სადაც ორიოდე წლის წინად დურაჯები დახოცა. ხორცსავსე სახეზე ხალისი აღიბეჭდა და გარსევანს მიაჩერდა:

— იმედი მაქვს ზაფხულზე მაინც მეწვევი და ჩემს ტყიანში მონადირებ. შენი რუსუდანიც უნდა მასტუმრო. ის მქრთალი მეჩვენება. ჩემი სოფლის მთის ჰაერი და ფეჭენარი დაკარგულ ფერს მალე დაუბრუნებს. ჩემი შვილებიც მოხარული იქნებიან და გაართობენ. გარდა ამისა, დროც არის ქვეყანაში გამოჩინო.

ვახშამზე ყველაფერი გემრიელი იყო და უხვადაც შემოჰქონდათ.

ზაზაც ხალისით შეექცეოდა. მამა მირიანი, რომელსაც არა ერთხელ გამოცდილი ჰქონდა, თუ რა საჭირბოროტო გამხდარა მისთვის ბატონის მოუთმენლობა, ბოლოს იძულებული შეიქმნა გაეფრთხილებინა და თავშეკავება ეთხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა შოთა რუსთველზე

სანდრო ეული

ამღერებულა დღეს ჩვენი გული
და ზღვად ქცეული
სიამით ღელავს.
გაბრწყინებულა სამშობლო მხარე
და მზის გაშლილი
სხივებით ელავს.
გახარებულა ჩვენი ქვეყანა
და ნეტარება
ერთი აქვს ყველას —
ხუთქიმიანი ჩვენი ვარსკვლავის
შუქი შვიდასი წლის წყვდიადს
ცელავს
ზეიმით ვხვდებით დღეს ჩვენს
გენიას—
საუკუნეთა
დამამშვენებელს.
მისი მზიური სახე წინ უდგას
ჩვენი ეპოქის
დიად მშენებელს,—
ძველი სამყაროს წყვდიადის
მიმართ
მქქას და ელვას
შეუნელებელს.
დღეს ზეიმია საბჭოთა მიწის, —
აყვავებულის
მთა-მინდორ-ველი,
სად დარწეულა მისი აკვანი,
სადაც ის იყო
ძუძუმწოველი,
სად რუსთაველის ძეგლი სდგას
სიბრძნის
და ღრმა ფიქრების
გამომსახველი,
სად მოსილია შარავანდედით
მისი უკვდავი
დიდი სახელი,
სადაც ტარიელ თვითონ ხალხია,
ნესტანდარეჯან —
თავისუფლება,
სად დამახილზე ჩვენი ბელადის
თოფქვეშ დადგება
ყველა უკლებლად.
ვაშა ჩვენს მხარეს! ვაშა ჩვენს
მიწას!
მტერს არ დავუთმობთ
მის არც ერთ მტკაველს!
ვაშა ხალხს—მშობელს ჩვენი
გენიის,
ვაშა და ვაშა
შოთა რუსთაველს!..

◆

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ილო მოსაშვილი

ა—წამქრალე ქვიდა, ბ—ვერცხლის სურას,
თაროზე მაღლა აწვდილი ხელით,
წიგნში პირველად ვეძებდი სურათს
და მაწვალებდა სტრიქონი გრძელი,
ხშირად გავყვები ცდუნების ბურანს,
თითქო მეორე ბავშვობას ველი.

აი აქა ვარ, არაგვის პირას,
ვაჟას ეზოში შევდივარ ჩანთით,
ვინ იცის, მე იმ შორეულ დილას,
თაროზე შემდგარ ბელივით ქანდი,
შევაღე კარი და თოფის რკინას
დუმით ლესავდა ცალთვალა ლანდი.

ძირს ირმის ტყავი, კედელზე ხმალი,
რქებზე ელვარე ფშაური შიბნი,
სამფეხა სკამზე ძველი და მკრთალი
იწვა ზონარზე გახსნილი წიგნი,
ფიცხლად სურათს შევასწარ თვალი:
ვეფხვი და ლომი ჭიდობდნენ შიგნით.

იწვნენ და ჩალაც ყინულით ეთქვათ,
გმირთვით მიწვდიდენ დაცვეთილ მწკალებს,
წაკითხვა ვცადე და გულის ფეთქა
გაჰყვა ისრებად გასროლილ მწკრივებს,
პირველი ასო ქაჯებით მიდგა
და არ მიღებდა სტრიქონის კარებს.

მობრუნდა ვაჟა და გმირის მტკაველით
გამითბო მხრები თოვლში ნატარი,
ბუხარში წითლად ღუღდა ნავლი
და ცეცხლს ეფარა ლომის ფაფარი.
გაფენილ ტყავზე ვისხედით სამნი:
ვაჟა - ფშაველა, მე და ზღაპარი.

დიდხანს ვუსმენდი შუბების ლესვას,
დიდხანს დნებოდა ბუხარში ძელი,
შვიდასი წლის წინ გახსნილი—დღესაც
გმირის ჭრილობა არ იყო ძველი,
ტარიელის და ნესტანის კვნესას
ბავშვის გულშიაც ხატავდა ბრძენი.

ვფურცლავდით წიგნს და თვითეულ სტრიქონს,
შუქის კანკალით მისდევდა კვარი,
შიშით ვუცქერდი, — მეგონა, თვითონ
ვაჟას მიჰყავდა ქაჯეთზე ჯარი.
ხმალი შემოჰკრა სტრიქონის ლითონს
და უცებ შეხსნა ნესტანის კარი.

რა დაემართა... დაავდო წიგნი,
ერთად დახუჭა ორივე თვალი...
რქებზე წკარუნით ჩამოწყდენ შიბნი
და ბუხრის თავზე შეირხა ხმალი.
გვიან წამოდგა და მკერდზე შიგნით
თუნგით ისხურა არაგვის წყალი.

გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა

ასეთი სათაურით არის ცნობილი მე-17 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის **არჩილის** (1647—1713) უმთავრესი ნაწარმოები. თემის თავისებური უცნაურობის თაობაზე შესავალში საგანგებოდ შენიშნულია: „არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების მეტი“. თავისი პოემით არჩილი გარკვეულ პასუხს იძლეოდა ქართული მწერლობის მრავალ მტკივნეულ საკითხზე. უწინარესად ყოვლისა, საჭირო ხდებოდა ქართული მწერლობის მიერ განვლილი გზების ერთგვარი კრიტიკული მიმოხილვა და ახალი პერსპექტივის შემუშავება. არჩილის დროისათვის საკმარისად იყო მომწიფებული პირობები ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის იდეურ-მხატვრული რაობის შეფასება - გადაფასებისთვის.

ამ მხრით პირველ რიგში უნდა გარკვეულიყო რუსთველისა და თეიმურაზის ხვედრითი წონა ქართულ პოეზიაში. რუსთველი კლასიკური პერიოდის სულსა და გულს შეადგენდა, თეიმურაზი კი მეთაურობდა ე. წ. აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ მოძრაობას. რუსთველისა და თეიმურაზის დაპირისპირება ორი ეპოქის ლიტერატურულ მიმდინარეობათა დაპირისპირებას წარმოადგენდა. რუსთველისა და თეიმურაზის დაპირისპირების მხრით არჩილი პირველი როდი ყოფილა. ის თვითონვე საგანგებოდ აღნიშნავს: „გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზეზით (იქმნა), რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს“. თვითონ არჩილი რუსთველისა და თეიმურაზის პოეზიაზე იყო განსწავლილი, ის უაღრესი პატივისცემით ეპყრობოდა ქართული სიტყვის ორივე დიდ ოსტატს, განსაკუთრებით რუსთველს.

„გაბაასებას“ შესავალად წამძღვარებული აქვს სპეციალური ტრაქტატი „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთათვის“. ეს ტრაქტატი პირველი კრიტიკული მიმოხილვაა ძველი ქართული მწერლობისა. არჩილი მოკლედ და სხარტულად ახასიათებს მრავალ თავის წინამორბედ და თანადროულ მწერალს. შეფასებისას იგი დიდ სიმკაცრეს იჩენს. კრიტერიუმად მიღებულია სიტყვის რუსთველისეული გამოყენება. რუსთველისადმი წამბაძველობა მიჩნეულია პოეზიის საუკეთესო ტონად. არჩილმა არ შეიწყნარა მთელი რიგი პოეტები მხოლოდ იმიტომ, რომ „შოთას რად ვერ წაბაძისა“. მანვე წამოაყენა მკვეთრი პრინციპი:

„ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარემობრძანდეს ასე აქეთ,
მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ“.

დიდად აფასებდა არჩილი თეიმურაზსაც: „ბატონი (ე. ი. თეიმურაზი) კი შეუდარო, სხვათ რუსთველი გაუთაო“. ამრიგად, არჩილი ქედს იხრიდა რუსთველისა და თეიმურაზის მხატვრული შემოქმედებითი ავტორიტეტის წინაშე. ამის და მიუხედავად, კრიტიციზმის ნიადაგზე დამდგარმა არჩილმა მაინც უარყო ორივე მწერლის ლიტერატურული მიმართულება. არჩილი იწუნებს რუსთველისა და თეიმურაზის შემოქმედების იდეურ - აზრობრივ მხარეს. პოეტური სიტყვის ოსტატებს ბრალს სდებს ზედმეტ ფანტასტიურობასა და ზღაპრულობაში:

„იტყვიან უკლოდ ამბავსა სპარსთა ნათქვამსა, ნაჭორსა“.

არჩილი გადაჭრით უარყოფს მოგონილობასა და ზღაპრულობას, ამის სანაცვლოდ აყენებს მართლის თქმის პრინციპს. რუსთველისა და თეიმურაზის „ზღაპრულობას“ არჩილმა დაუპირისპირა თავისი „მართალი“ თხრობა: „სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად“-ო. სხვაგანაც ერთგვარი პოლემიკური გაცხარებით ურთავს:

„მეძვ ესე ჩემა ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი,
არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად გასაგონარი“.

არჩილი იმასაც უსაყვედურებს, რომ რუსთველმა და თეიმურაზმა თავიანთი უზადო ნიჭი შეალიეს „სპარსთა ნათქვამი“ ამბების პოეტიკურად დამუშავებას. სპარსულს არჩილი უპირისპირებს ქართულს: „საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებო“ — ჰპირდება იგი მკითხველს.

ერთის სიტყვით, არჩილი ქომაგობს თავისებურ რეალისტურ შემოქმედებითს მეთოდს და ისტორიულ-ნაციონალურ თემატიკას. თქმა არ უნდა, ცნება „რეალიზმი“ აქ პირობითად არის ნახმარი. ჯერ ნაადრევია ლაპარაკი რეალიზმზე, როგორც გარკვეულ სალიტერატურო მიმართულებაზე ან სალიტერატურო სკოლაზე. „მართალი“ (რეალისტური) არჩილს მეტად ვიწროდ აქვს გაგებული. მისთვის „მართალია“ (რეალისტურია) მართოდენ ისტორიული ამბავი. მაგრამ არჩილმა მაინც დიდი ნაბიჯი წადგა წინ ქართულ მხატვრულ აზროვნებაში. მან საოცარი გამბედაობა გამოიჩინა, შეგნებულად უარყო საყოველთაოდ მიჩნეული ავტორიტეტების მხატვრული შემოქმედებითი გზები და სანაცვლოდ სრულიად ახალი, თავისი დროისათვის უთუოდ საყურადღებო თვალსაზრისი წამოაყენა. „სპარსული“ თემატიკით მოჭარბებულად გატაცების პირობებში, რასაკვირველია, სრულიად კანონზომიერი იყო არჩილის გამოსვლა. „სპარსული“ თემატიკა უკიდურესობამდე განავითარა თეიმურაზმა. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ცნობილი განცხადება: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“ და „მძიმე არს ენა ქართველთა“-ო. არჩილი აქაც თანმიმდევარია. ის თავგამოდებით იცავს ენის სიწმინდეს (პურიზმს). არჩილი გმობს თეიმურაზის ნარევ, ბარბარიზმებით (თურქიზმებით და სპარსიზმებით) სავსე სტილს. თეიმურაზი იძულებულია თვითონვე აღიაროს:

„მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული,
თათრულიც გამირევია, მიქია მათი არსული“.

დამახასიათებელია, რომ თეიმურაზს ამოფარებული არჩილი არც რუსთველს ინდობს ენის საკითხში (და სრულიად უმართებულოდ ესხმის თავს):

„რაც ენაა, ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა,
ლაზოდ სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე“.

არჩილს მიზანში ამოღებული აქვს განსაკუთრებით თეიმურაზის „მაჯამა“, მას აშფოთებს ამ ლირიკული პოემის როგორც თემატური სარჩული, ისე ენობრივი დამუშავება. „მაჯამას“ წილ არჩილმა შეთხზა „ლექსნი აქა-იქ ნათქვამნი“ ანუ „სამიჯნურონი“. თუმცა არჩილი აქ ბევრ რამეში ბაძავს კიდეკაც თეიმურაზს, მაგრამ თავმომწონე კადნიერებით აღნიშნავს თავისი პოემის სუჟეტურ ორიგინალობას და ენის სიწმინდეს:

„მკითხველ - მთარგმნელნო, „მაჯამას“ წილ მეც ეს მამართმევია,
ჩემი და ჩემმაგიერი, არვისთვის წამირთმევია,
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“.

არჩილი სრულიად არ უარყოფს უცხო ენების ცოდნის საჭიროებას, პირიქით, ერთგან საქვეყნოდ აცხადებს, რომ კაცმა „ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულად“-ო. უცხო ენებსა და მწიგნობრობაში განსწავლა არჩილს მიაჩნია სანაქებო „ზნეობად“:

„ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად...“

მაგრამ უცხო ენების ცოდნა ქართულის საზიანოდ არ უნდა იქნას გამოყენებულიო, სავსებით სამართლიანად დაასკვნის ავტორი. არჩილი კვლავ სიამაყით იძლევა გაფრთხილებას:

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით“.

ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ენის სიწმინდის პრობლემა არჩილმა დასვა ქართული ლიტერატურის წინაშე საკმაოდ მძაფრად.

„გაბაასება“ თვრამეტი სიტყვა-პასუხისაგან შედგება. თითოეული მობაასე ან, უკეთ, მოპაექრე მხარე იცავს თავის ლიტერატურულ თვალსაზრისს და თავს ესხმის მოწინააღმდეგეს. პაექრობისას რუსთველი საერთოდ მოკრძალებულია, თავაზიანი ზრდილი, დამთმობი. თეიმურაზი კი რიხიანობს, ზვაობს, იბღინძება. „გაბაასება“ იხსნება თეიმურაზის გამომწვევი სიტყვით:

„რუსთველო, ყური მომიპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენაო,
ხან კიდეც გამაგულისეს, მათი მომინდა შენაო,
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო“.

თეიმურაზის რიხი გამოწვეულია მისი საზოგადოებრივი მდგომარეობით. რუსთველი მორიდებულად მოახსენებს „გვირგვინოსან“ მოპაექრეს:

„მე რას ღირსვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ,
თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერიო“.

ამის და მიუხედავად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, როგორც მხატვარ - შემოქმედს, თავი ღირსეულად უჭირავს, ოდნავ არ იხევს საკუთარი ლიტერატურული პოზიციებიდან და თეიმურაზს მტკიცედ აგონებს:

„ჩემისთანა ვერსად ჰპოვონ, სულ ხმელეთი მოიარონ...
საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს...
მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს“.

რუსთველის პრინციპული ხასიათის ბრალდებათაგან საყურადღებოა თეიმურაზის შემდეგი განცხადება: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეეთითვისა“-ო. ამით არჩილი გვაუწყებს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ შემდეგი დროის ინტერპოლატორების მიერ არის „შეთავებული“, ე. ი. დასრულებულიო. ამ მოწმობამ მთელი ისტორია შექმნა რუსთველოლოგიაში. არჩილმა ერთი ინტერპოლატორის ვინაობა სახელდებითაც კი აღნიშნა:

„ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია“.

ბოლო დროის კვლევა-ძიებამ დაადასტურა არჩილის მოწმობის სისწორე: ვორონცოვისეულ (ზაზასეულ) მე-17 საუკუნის ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანში“ აღმოჩნდა ავტორწარწერილობის მქონე ნანუჩას ტექსტი. თეიმურაზის სიტყვით, არჩილი რუსთველს აყვედრის: „რაცა სთქვი, იძულებითა, თამარ მეფემან გიბრძანა“-ო. ავტორი უპირატესობას აძლევს თავისუფალ შემოქმედებითს იმპულსს. რა თქმა უნდა, თავისუფლება არჩილს თავისებურად ესმის.

თეიმურაზი იმითაც იკვეხის, რომ „საღვთო სწავლა“ ვიქადაგეო, ხოლო რუსთველს საეროს უტოვებს: „საღვთოს სწავლით ვერ აიხვალ, საეროვე მოიხმეო“. რუსთველი ღებულობს ამ „ბრალდებას“: „საღვთო შენთვის, დაიჭირე და საერო მე მიბოძე“-ო. არჩილის აზრით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა თეიმურაზს აშკარა უპირატესობას ანიჭებდა. ჩვენი აზრით კი, პირიქით, სწორედ ესაა რუსთველის დიდი ღირსება. მაინცა და მაინც არჩილი აღიარებს ობიექტურ სინამდვილეს, როდესაც „ვეფხის-ტყაოსანს“ საერო ნაწარმოებს უწოდებს. როგორც ცნობილია, შემდეგში ვახტანგმა (1675—1737) რუსთველის პოემა „საღვთო და საკაცოდ“ მონათლა.

თეიმურაზის კადნიერება აქა-იქ ყოველგვარ საზღვარს სცილდება: გულზვიადი პოეტი უშვერად ილანძღება და უკადრისი სიტყვებით უმასპინძლდება ზრდილ მოპაექრეს. გრძელი პაექრობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა რუსთველის შემდეგი პასუხი:

„სხვისგან ჩემს ქებას წყინობო, მე ვითა გაგაგულისო?
ოქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთ, ან მარგე სულისო,
მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის, ჩემგან დანერგულისო“.

ამ სტროფში უნდა მოისჩანდეს არჩილის შეხედულებათა გასაღები. (პაექრობისას არჩილი საერთოდ ნეიტრალობას ჩემულობს და თითქოს განზე დგას). არჩილს დიდ პოეტად მიაჩნია თეიმურაზი, რომელსაც თანადროულობაში ბადალი არ უნდა ჰყავდეს, რომელსაც ერთგვარად ეხერხება სამიჯნურო თემატიკაც და სულის მარგებელი „რიტორებაც“, მაგრამ მაინცა და მაინც თეიმურაზის შემოქმედება რუსთველის დანერგილი მშვენიერი პოეტური ხის ნაყოფიაო. ამ დასკვნით არჩილი ცდილობს თეიმურაზსაც საპატიო ადგილი მიაკუთვნოს ქართულ პოეზიაში და რუსთველის მიმართაც ღირსეული მსაჯული გამოდგეს.

„გაბაასების“ 15, 17 და 18 პასუხში დაწვრილებით გადმოცემულია თეიმურაზის ცხოვრების ამბავი, ანუ ფაქტობრივ საქართველოს მე-16 საუკუნის გასულისა და მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ნამდვილი ისტორია. მეორეს მხრით, რუსთველიც გვიამბობს თავის დროინდელ ამბავს. მე-12 საუკუნის საისტორიო თხრობაში მთხრობელის ბიოგრაფიული ამბავიც არის ჩაქსოვილი. მე-12 საუკუნის საისტორიო ფაქტების გადმოცემისას არჩილი ემყარება ოფიციალურ წყაროებს, კერძოდ „ქართლის ცხოვრებას“. თეიმურაზის თავგადასავალი კი წარმოადგენს საინტერესოდ და ორიგინალურად შედგენილ საისტორიო პოემას. რუსთველის საბიოგრაფიო მასალა, სამწუხაროდ, უფრო ტრადიციულ გადმოცემათა დამუშავებას იძლევა და მოკლებულია დოკუმენტირებულ პირველწყაროს მნიშვნელობას.

„გაბაასების“ ტექსტის ერთი ნაწილი, სახელდობრ თეიმურაზის თავგადასავალი, შესავალი კარის თანდართვით, პირველად გამოსცა პლატონ იოსელიანმა („ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“, თბ. 1853). უფრო ვრცელია მეორე გამოცემა ლავრენტი მაჩიტაძე-დიმელისა („არჩილიანი“ ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება“, ქუთაისი 1888). ნაწყვეტები დროგამოშვებით იბეჭდებოდა სხვადასხვა ქრესტომატიასა და ანთოლოგიაში. „გაბაასების“ სრულ, აკადემიურად დადგენილ და სათანადოდ კომენტირებულ ტექსტს ამჟამად სცემს საქართველოს მუზეუმი რუსთველის საიუბილეო დღეებისათვის.

პროფ. ალ. ბარამიძე

ვახტანგ მეექვსე სტამბაში

მიქელ პატარიძე

როს გაიშალა დილა ვით [illegible]
შემკული სხივის ასომთავრულით,
უცებ გამოჩნდა ფირუზელზე,
შიგნით
თბილისი მთიებზე ამოქარგული.

ნუსხა ხუცურის მთათა გრეხილებში
ადგა ღრუბლების არევ-დარევა,
და თბილისის მზე როგორც
მეხილე
სავსე თაბახით იდგა კარებთან.

მისი ძახილი, მისი ნაკვესი
სწვდებოდა ყოველ საგანს და
სარკმელს;
და ქვევით მტკვარი კლდეებთან
ნაკვენესი
გადასხვაფერდა და იქცა სარკედ.

სტამბის სარკმელში შეიჭრა იგი
და ამოძრავდა ოქროს ჰაერი,
სადაც ლითონით ფერდები წიგნი
ჯერ არ ნახული და სხვანაირი.

იწვია სტამბას სხივებთან ერთად
კორექტორი და მეფე—
მთარგმნელი.
ვლახილი წვერით ნათელი თეთრად
იდგა მეფის წინ შრიფტის
თარგებით.

კითხულობს ქართლის ის
გამგებელი
მზე როგორ სწერდა ტარიელს
ბარათს;
და ოცნებათა მსუბუქ გემებით
სტამბიდან მიდის მეფე მთა—
ბარად.

მზე სტამბაშია, მზე მიჯნურს
ეძებს,
მზის შუქზე მეფე მაჯამებს
არჩევს;
ფიქრობს პოეტის უცნაურ ბედზე
და უნდა მასთან ამ წიგნში
დარჩეს.

როცა დატოვა მეფემ სტამბა
სთქვა, რომ დღეიდან მზე
სტამბაშია...
მისდევდა ფიქრით ამ ზღაპრულ
ამბავს
ქსოვდა ოცნება ფერად არშიას.

როს თბილისს სხივი გადაეტოლა
და კვლავ აფეთქდა დილის
მაშხალა,
მეფემ, მთარგმნელმა და
კორექტორმა
სტამბაში შოთას წიგნი გაშალა.



გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა
ნახატი ნადარეიშვილისა რუსთველის გამოფენის მასალებიდან

სტუმარი ხშირად თვით ეწეოდა მასპინძლობას, უქებდა და აწოდებდა კერძს. სხვა ადგილას გარსევანს, ყველაფერში ზომიერების მოყვარულს, ალბად, ვერავინ დაასწრებდა ესაყვედურება მეგობრისთვის, რომ მან საზღვარი არ იცის, მაგრამ ახლა მასპინძელი იყო და თავს იკერდა. ჯერ კიდევ ჰყოფნიდა მოთმინება.

გარსევანს შესაძლოა კიდეც უყვარდა ზაზა, თუმცა მრავალი მისი ქცევა არ მოსწონდა. ყველაზე ხშირად იმას უზრახავდა, რომ დახარბებული იყო ქვეყნიურ სიამეზე...

ამაზე გარსევანმა ცხარედ იცოდა ლაპარაკი, ხოლო არა ნაკლებ ცხარობდა იმაზედაც, რომ მეგობარი ყოველთვის მოთმინებით მოუსმენდა, დაეთანხმებოდა კიდეც, რომ ცოდვილია—ოჰ, რა უიმედოდ ცოდვილია! — მაგრამ დარიგებას მეორე წუთშივე ივიწყებდა. გარსევანი გულში სთვლიდა მას მარადი ცხოვრებისთვის დაღუპულ ადამიანად და ეცოდებოდა.

ახლაც, ამ ვახშამზე, გარსევანმა დააპირა ზოგიერთი დარიგება მიეცა მისთვის. რამდენი ხანია არავის წინაშე გული არ გადაუშლია, გულში კი ათასგვარი ნაღველი დაგროვილიყო. მაგრამ ზაზა მიუხვდებოდა თუ არა განზრახვას, ოსტატურად გამოაცლიდა სიტყვას და თვით იწყებდა ლაპარაკს. სულ ერთი იყო, რაზე,—ოღონდ კი მრავალჯერ გაგონილის და მობეზრებული რჩევა-დარიგების ხელახლა მოსმენით ეს გემრიელი ვახშამი არ გაუგემურებოდა. ამ ლაპარაკში თითონაც არ შეუმჩნევია რამდენჯერ უამბო ერთი და იგივე: ოსეთიდან ულაყები ჩამოაყვანინა და ერთს ისეთი ფაფარი აქვს, რომ მიწას სწვდება. აღადგინა აუზი თევზებისთვის, კალმახი, ჭანარი და მურწა ნებიერად არიან იქ და დიდხანს სძლებენ. ჭანარი კალმახს გემოთი არ დაუვარდება, თუ თან ახლავს ბროწეულის წვენით და დანაყილი კაკლით შეზავებული საწებელი; ბროწეული ოდნავ სიცხარეს აძლევს, ენას საამოდ კბენს და მადას აღვიძებს...

ტყუილად ეცადა ზაზა. უთავბოლო ლაქლაქმა ბოლოს მოთმინება დაუკარგა გარსევანს.

— ვხედავ, ჩვეული უდარდელობით განაგრძობ ცხოვრებას, — მა[illegible] გაისმა მისი გამკილავი, ბოხი ხმა—დრომ და განვლილმა უბედურებამ თურმე ვერაფერი გასწავლა შენ. რატომ ერთხელაც არ დაფიქრდები, რომ ჩვენს ასაკში მხოლოდ სულზე უნდა ვზრუნავდეთ?

„დაიწყო!“ გაიფიქრა ზაზამ და ნაღვლიანად მიაჩერდა მამა მირიანს.

მირიანს ნუგეშის მიცემის თავი აღარ ჰქონდა. მოკრუნჩხულიყო სუფრის კუთხეში და თვლემას ებრძოდა. უყურებდა ზაზა და გულს იყოლიებდა. თავტიტველა მღვდელს კისერზე შერჩენოდა დიდიხნიდან ნაზარდი თმა. შინ მირიანი გაჩეჩილი დადიოდა, თმას საგარეოდ თუ დაიწნავდა. ნაწნავი რომელიღაც ცხოველის კუდს აგონებდა ზაზას.

— ჩვენ ზედმეტად შევექცევით ქვეყნიურ სიამოვნებას,—განაგრძობდა გარსევანი.—განვარიდეთ უფალი ჩვენი.

— რათამცა განვარიდეთ იგი,— ამოიოხრა ზაზამ.

ღრმად ამოიოხრა მთვლემარე მოძღვარმაც.

— შენც, ჩემო მეგობარო, შენც დამნაშავე ხარ. შენც ერთი იმათგანი ხარ, ვინც გახდა მიზეზი ჩვენი ქვეყნის უბედურებისა!—ხმას უმატა გარსევანმა.—შენ არასოდეს არ თმობდი ამ ცხოვრების სიამეთ. მუდამ გატაცებული იყავი ნადიმებით, მოგწონდა თეატრი, სახიობანი. შენს კარზე ხშირად უნახავთ რიტორნიც. იმის მაგიერ, რომ სიტყვა ღვთისა არ დაეგდო ხალხს, ყოველი დიდებული და მცირე გატაცებული იყო მოშაირეთა ენამჭევრობით. შენი შვილებიც შენს კვალს მისდევენ. ნუ გეწყინება, თუ ჩემს რუსუდანს ვერ გასტუმრებ. მას ღვთის შიში აქვს ჩანერგილი, მისი სული წმინდაა, მისი ფიქრი და ზრახვანი მხოლოდ ცაურს შესტრფიან და რა უნდა იპოვოს მან მათ შორის, ვინც უკუღმართ გზას დასდგომია? მე დარწმუნებული ვარ, შენ სახლში კვლავ ერთობიან წარმართთაგან გადმოღებულ არაკებით და ყველაზე უფრო ისევ იმ ბიწიერ რუსთველით.

— ეძებნეს საფლებში, მაგრამ ვერ იპოვეს!—წამოსცდა ზაზას და იქვე სანანებლად გაუხდა ასეთი დაუფიქრებლობა.

— გეშინოდეს ამ წიგნის, ზაზა!—მიაძახა გარსევანმა—ის ბაალს მსახურებს. ჩვენს გამოსაცდელად მოავლინა უფალმა ეს ბოროტი რიტორი. ცეცხლს მიეცი იგი და დაივიწყე!

აღელვებული ადგა, განშორდა სუფრას და დარბაზში სიარული იწყო.

მიმოდიოდა მდუმარე, გაბოროტებული. გრძელი ლანდი, ისიც პატრონივით გრძელი და გამხდარი, ხან წინ უძღოდა, ხან უკან მისდევდა.

ზაზა არც ცდილა მის დამშვიდებას. იცოდა, ახლა ვერაფერს გახდებოდა. თითონაც აღარ იყო გუნებაზე. იჯდა, თვლემდა, ხმის ამოღება ვერ გაებედნა.

ბოლოს ისევ გარსევანმა დაარღვია სიჩუმე.

— მგონი დაგღალე,—ნაძალადევი ღიმილით გადახედა.—დროა მოვისვენოთ. საცაა შუაღამე იქნება.

ზაზას ცალკე მოუსვენეს სასტუმროში. გარსევანმა მოისმინა ყოველი ლოცვა, რაც წესით დადებული იყო, გაუშვა გოჩა და ღრმა ძილს მიეცა.

მთელ სახლში სიჩუმე ჩამოდგა.

ნამგზავრი ზაზა დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. ფხიზლობდა, თვალღია იწვა და სარკმელს შეჰყურებდა. ვიწრო სარკმელიდან მთვარის ნათელი შემოდიოდა. ეთერის მოვერცხლილი სვეტი თრთოდა. სადღაც ჭრიჭინა ახმიანდა. ქარმა ხეებზე გადაიქროლა და ტოტები ააშრიალა. ჭრიჭინა უფრო გამხიარულდა. გამახვილებული სმენა ღამის სიჩუმეში ყველა ხმას იჭერდა.

იწვა და წვალობდა. იცოდა, რა იყო უძილობის მიზეზი და რა უნაყოფო იყო ახლა მასთან ბრძოლა. უსაყვედურებდა თავის თავს, რომ ზომაზე მეტად შეექცა ვახშამს. პატარა ოთახში ჰაერი აღარ ყოფნიდა.

ერთხანს კიდევ იბორგა ლოგინში, მერე წამოდგა, კაბა მხრებზე მოიგდო და აივანზე გავიდა.

სიგრილემ გული დაუამა. ჰაერი ხარბად შეისუნთქა. მთვარით განათებულ სივრცეს გახედა. ქვევით ჭალები დაფენილიყვნენ. გორაკზე ღრუბლის ნაფლეთი მიღოღავდა. ქარი ფანტავდა ეზოში დაყრილ შემოდგომის ფოთოლს. მოუსაფართ ხრიოკ მიწაზე დაათრევდა. ქარმა ფოთოლი აივანზედაც შემოაგდო. ხმელმა ფოთოლმა ფიცრულზე გაიშრიალა.

აივნის ბოლოში ზაზამ სინათლე შენიშნა.

სინათლე სარკმელიდან სჩანდა.

მოულოდნელად იქიდანვე ხმა მოესმა. მიაყურა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია. მოაჯირს გაჰყვა.

დაუახლოვდა თუ არა სარკმელს, გარკვევით გაიგონა მამაკაცის ხმა:

— ახლა წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი...

ისევ რუსთველი! ეს რიტორი ახლაც არ ასვენებდა!

ლექსი იმავე ხმამ დაიწყო. ყოველ სიტყვას გარკვევით, ალერსით წარმოსთქვამდა, თითქო გულისთქმასაც გააყოლებდა თითოეულ მათგანს.

„ხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან,
„ველარ ვნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან.
„ნეტარ რა ჰქნას უშენობამ გულმან შენგან დალახვრულმან;
„გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“.

იდგა ზაზა და უსმენდა. კითხვაც მოსწონდა და ლექსიც. მართლაც გრძნეული უნდა იყოს ეს რიტორი, თუ კი ყოველი მისი სიტყვა ასე წვდება გულს!

რაც მეტი გაიგონა, უფრო ეამა. განა პირველად, მაგრამ ასეთი გულისხმიერი კითხვა ჯერ არავისგან სმენია.

— ჰო, მაგრამ რად უზრახა გარსევანმა მის შვილებს რუსთველის წიგნის ძებნა, თუ კი თითონ შინ ჰქონია!—ფიქრობდა ზაზა და თან უხაროდა, რომ ამის შემდეგ მაინც შესძლებდა ემხილა მეგობარი არაგულწრფელობაში.

რატომღაც წამკითხავი იმეორებდა ხოლმე სტრიქონებს და მხოლოდ ეს არ მოსწონდა ზაზას. უნდოდა ესმინა დაუბრკოლებლად, შეუჩერებლად. მოუთმენლად ელოდა ნესტანის წერილის ბოლო ტაეპს და სჯეროდა, რომ აქ კიდევ უფრო გულისხმიერი იქნებოდა ის უცხო ოსტატი.

ეს ადგილიც ახლოვდებოდა.

როგორც კი გაისმა პირველი სიტყვები, ზაზა დარწმუნდა, რომ მოლოდინი არ გაუცრუვდა. რასაკვირველია, ამას ის თითქმის მღელვარებით ამბობდა:

„აჰა ინაშე, ნიშანი შენეულისა რიდისა,
„გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა;
„ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
„რიხხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა მშვიდისა“.

სთქვა და ჩაჩუმდა.

ოთახიდან აღარაფერი ისმოდა.

სარკმლის სინათლეს რაღაც ლანდი აეფარა.

— მოსვენებას ხომ არ ინებებთ, ქალბატონო?—რამდენიმე ხნის შემდეგ მოესმა ზაზას იმავე მამაკაცის მორიდებული ხმა.

ეს უკვე რუსთველიდან აღარ იყო. ოთახში, ცხადია, მარტო ერთი არ ყოფილა. ის მეორე ქალი უნდა ყოფილიყო.

პასუხი არავინ გასცა.

სიჩუმე ისევ გრძელდებოდა.

ვეღარ მოითმინა ზაზამ, ფრთხილად მიიწია და სარკმლიდან გადაიხედა.

ოთახში რუსუდანი და გოჩა დაინახა.

ქალს თავი დაეხარა და ტიროდა. შორიახლოს მდგარი გოჩა ბატონის ასულს კრძალვით მისჩერებოდა.

სიჩუმე გახანგრძლივდა.

ბოლოს რუსუდანმა თავი ასწია, დანამული თვალები მოიწმინდა, გოჩას მორცხვად ახედა, უცბადვე შეჰკრა წარბები, ფურცელი მოიმარჯვა.

— განაგრძე!—ბრძანა და ხელში ფრთა აიღო.

„ესე წიგნი საყვარელსა მისსა თანა მინაწერი
„რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი“...

უსმენდა გოჩას რუსუდანი და სწერდა.

რიჟრაჟზე გააღვიძეს ზაზა.

ძილი აკლდა. სხეული დასვენებას ითხოვდა. თბილი ლოგინის მიტოვება დაეზარა.

მეორედ შევიდა ფარეში და თავზე დაადგა.

გაბრუებულმა უნდომად ჩაიცვა და გავიდა ოთახიდან.

კიდევ ბინდი იყო. დაბალი ნისლი ახლად იწყებდა აშლას.

ეზოში ხმაური ისმოდა. ყველაფერი მზად იყო. ბაზიერნი ბატონების გამობრძანებას უცდიდნენ. ნადირობის მოლოდინით გახელებული ძაღლები ყეფდნენ, წასვლად მიიწევდნენ. მეშავარდნეთა სახელურებზე დინჯად ისხდნენ კაპოეტები. მამა მირიანი უკვე შემჯდარიყო ცხენზე. ავეჯირზე ხელი არ ეკიდა და ცხენი თავისუფლად მიეშვა. ცხენი, მწვანე ბალახს ეძებდა ლობის ძირებში და მხედარს თავის ნებაზე დაატარებდა.

გარსევანმა თვალი მოჰკრა ზაზას, როცა მან კიბის თავზე ფეხი ჩამოდგა. მიეგება, მიესალმა და ჩვეულებისამებრ ჰკითხა სტუმარს, თუ როგორ მოისვენა.

— არ დაგიმალავ, ცუდათ მეძინა, —სთქვა ზაზამ და უცბადვე დაუმატა.—მაგრამ ეს დილა სიხარულით გათენდა ჩემთვის!

დაიწია ერთი საფეხურით, ხელები მოხვია გარსევანს და გულზე მიიკრა.

— ჩემო კეთილის მყოფელო, რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი. თვითონ განგებას მოვუყვანივარ აქ. გახსოვს, რას მეუბნებოდი წუხელ? იმ სიტყვებმა თვალები ამიხილეს. თურმე უფსკრულის წინაშე ვიდექ, გარსევან! ეს შენ გვიხსენი მე და ჩემი შვილები!

გარსევანი კმაყოფილებით უსმენდა მეგობრის აღსარებას.

— შენმა სიტყვებმა დამაფიქრეს და მოსვენება დამიფრთხეს. დიდ ხანს ვფხიზლობდი შიშს მიცემული. რამდენი დღე დამილუპავს იმის მაგიერ, რომ ყოველი წუთი მარადი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად გამომეყენებინა... შეგნატრი, რაოდენად სპეტაკი ხარ ჩემზე! მაგრამ, გარსევან, ნურც შენ დამშვიდდები. კათაკმეველნი არც შენ გისვენებენ! ჯოჯოხეთი აქაც გზავნის თავის მოციქულს!

გარსევანმა გაკვირვებით შეხედა.

— დიახ, ბოროტი რიტორის მხამით სწამლავს შენს რუსუდანს. გეშინოდეს ამ წიგნის, ის მართლაც ბაალს ემსახურება!

— მოგლანდებია, ჩემს სახლში მას ვერავინ იპოვის!—უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გარსევანმა.

მაშინ ზაზამ უამბო, თუ რისი უნებური მოწმე გახდა ღამით.

ბოლომდე თქმა ვერ მოასწრო ზაზამ, ისე უეცრად აირია ყველაფერი.

გაბოროტებულ გარსევანს ვეღარაფერი აჩერებდა.

— აქ მომგვარეთ ის ძაღლის შვილი!—მოითხოვდა გოჩას და ღრიალებდა.

ბევრი სძებნეს გოჩა, მაგრამ ვერსად იპოვეს.

კარგმა დრომ გაირა, სანამ ეზოდან თვალი მოჰკრეს სერზე ჭენებით მიმავალ ცხენს.

უკანასკნელად მხედარმა გორაკს გადაიარა და მიიმალა.

ეს გოჩა იყო.

გოჩამ დროით უშველა თავს. როცა უთხრეს, ბატონი გაბრაზებულია და გიხმობსო, გულმა უგრძნო, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, მოახტა უბელო ზერდავს და გაქანა.

—:—

ესეც დასასრული დიდი მოყმის ამ პატარა ამბავისა:

ბატონის სახლიდან გაქცევის შემდეგ გოჩა ერთხანს მესხეთში იმალებოდა.

სამშობლოს დაშორება წამებად გარდაექცა, მაგრამ დაბრუნებას ვეღარ ბედავდა. ის შეეხიზნა ოირბის მეზობლად ერთ თავადს და იქ იწყო ცხოვრება.

ახალი ბატონის კეთილი განწყობილება რომ დაიმსახურებინა, გადასწერა მისთვის საჭირო რამდენიმე წიგნი, თავისუფალ დროს კი ისევ რუსთველის აღდგენას ანდომებდა.

შესაძლოა ეს წიგნი სადმე დარჩენილიყო, მაგრამ სად, ეს გოჩამ არ იცოდა და ჩქარობდა ჩაეწერა, სანამ კიდევ უნაკლოდ ახსოვდა.

ყველაფერს, რითაც სცოცხლობს ადამიანი — სიყვარული, გმირობა, მეგობრობა, რაც ამაღლებს მის სულსა და გონებას, ამ წიგნში ჰპოვებდა. ლექსის ყოველი სიტყვა ცოცხლობდა ადამიანისადმი და ქვეყნისადმი სიყვარულით. ყოველი სიტყვა თვით იყო მზე, მიწის ყვავილობა, კვირტების საიდუმლო გაცოცხლება, ნაყოფის ტკბილი წვენი. ეს წიგნი ადამიანს თან მოჰყვა გაჩენის პირველ დღიდან და მის მარად თანამგზავრად უნდა დარჩენილიყო.

მაისის ერთ საღამოს რუსუდანს მისმა ერთგულმა ფარეშმა ოთახში შეუტანა ფარჩაში გახვეული შეკვრა. ფრთხილად გადასცა ფარეშმა და რუსუდანიც მიხვდა, რომ საიდუმლო იყო და არავის არ უნდა ენახა. გახსნა მხოლოდ ღამით, როცა მარტო დარჩა.

შეკვრაში რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ აღმოჩნდა.

წიგნი სრული იყო. თავსართების განიერ არეს ჩუქურთმები ამკობდნენ.

რუსუდანმა იცნო გოჩას ხელი და მაშინ ისიც გაიგო, თუ ვისგან იყო გამოგზავნილი.

დისკუსია ა. მაშაშვილის პოემის „ენგურის“ გარშემო

ალ. მაშაშვილი ჩამოყალიბებული პოეტური ფიგურაა. საბჭოთა მკითხველი მას იცნობს, როგორც მრავალი საინტერესო ლირიკული ლექსის ავტორს, მისი უკანასკნელი ლექსები — „სამშობლო ბელადისა“ და „ჰიმნი სამშობლოს“ — წარმოადგენენ სოციალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს. ამიტომ პოეტურ საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესს იწვევდა ამხ. ალიო მაშაშვილის მუშაობა ეპიკურ ნაწარმოებზე. პოემა „ენგურზე“ მაშაშვილი ინტენსიურად მუშაობდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. რამდენიმე თვის წინად მან პოეტების საჯარო სხდომაზე წაიკითხა თავისი პოემის პირველი დამთავრებული ვარიანტი. ამის შემდეგ იგი კვლავ განაგრძობდა „ენგურზე“ მუშაობას და მხოლოდ ნოემბრის პირველ რიცხვებში აქვეყნებს მას ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე. უკანასკნელად პოემა ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

პოემა „ენგური“ ერთერთი დასრულებული ცდაა ქართული სოციალისტური ეპოსის შექმნისათვის.

ამიტომ იყო, რომ დისკუსიამ „ენგურზე“ მწერალთა საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო.

დისკუსიამ, რომელიც მიმდინარეობდა მწერალთა კავშირში, სამ დღეს გასტანა. იგი მოაწყო მწერალთა კავშირის კრიტიკოსებისა და პოეტების სექციამ.

დისკუსია გახსნა ამხ. **შალვა რადიანმა.** მან თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ დაახასიათა მაშაშვილის განვლილი შემოქმედება, ილაპარაკა ეპოსის მნიშვნელობაზე და მის ადგილზე საბჭოთა პოეზიაში, ილაპარაკა იმაზე, თუ რა მიმართებით უნდა წავიდეს დისკუსია „ენგურზე“. „პოემის განხილვასთან ერთად უნდა დაისვას და გაირკვეს საკითხი სოციალისტური ეპოსის შესახებ. საჭიროა ამ დისკუსიაზე მწერლებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი სოციალისტური ეპოსის განვითარების გზების შესახებ“,—ამბობს ამხ. შალვა რადიანი.

მომხსენებელი ამხ. **გიორგი ნატროშვილი** ეხება ანტიკური ქვეყნებისა და საშუალო საუკუნეების ეპოსის საკითხებს. „ძველი ეპოსი ისტორიაში ეძებდა მასალას, იგი მითით სარგებლობდა, მთავარი გმირები ბედის წერასა და განგებას ემორჩილებოდნენ ბუნებასთან ბრძოლაში და მეტწილად ილუპებოდნენ. სოციალისტური ეპოსი უმთავრესად თანამედროვე სინამდვილიდან უნდა იღებდეს მასალას. ახალი ცხოვრება იძლევა ამის უდიდეს შესაძლებლობას. ეპოსი, ეს ურთულესი ფორმა, ვითარდება ხალხთა აღორძინებისა და მისი ცხოვრების უაღრესად განვითარების პერიოდში. სოციალისტური ცხოვრების ყოველდღიური ზრდა, ჩვენი ხალხის ჯერ უნახავი აღორძინება მოითხოვს ეპიურ ნაწარმოებს —პოემას“.

შემდეგ მომხსენებელი ვრცელ ანალიზს უკეთებს მაშაშვილის პოემას „ენგურს“:

„ამ პოემაში უდიდესი ოსტატობით არის მოცემული პეიზაჟი. ეს პეიზაჟი არ დგას, როგორც ორნამენტი,—იგი თან მოჰყვება გმირის განწყობილებას.

პოემაში მოცემულია, ერთის მხრივ, ადამიანების ბრძოლა ბუნებასთან, ამ ადამიანების მასთან დამოკიდებულება, მეორის მხრივ—პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობა. პოემის მთავარი გმირი ბურდღუ შელია ხალხის მტრების ვერაგობით ფიზიკურად მახინჯდება. მას სტოვებს შეყვარებულიც. იგი თითქოს გრძნობს თავს გარიყულად საზოგადოებიდან, მას თითქოს ფუნქცია დაეკარგა ამ საზოგადოებაში და თვითმკვლელობასაც აპირებს. მაგრამ კოლექტივი არ ივიწყებს მას, ფაბრიკის აშენების გამო ზეიმის დროს აჯილდოებენ და იგი კვლავ სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე ხდება.

პოეტი არ მიდის უმცირესი წინააღმდეგობის გზით. იგი როგორც ადამიანებს, ისე მშენებლობას გვიხატავს მთელი თავისი ბუნებით. ავტორს არ აშინებს უარყოფითი მოვლენების ჩვენებაც, მაგრამ პოემა მთლიანად ოპტიმიზმითაა გაჟღენთილი“.

შემდეგ მომხსენებელი ეხება პოემის დანარჩენ ტიპებს და მოკლედ ახასიათებს მათ.

კამათში გამოსული ამხანაგები: **კ. მელაძე, რ. ქორქია, ლ. ასათიანი, ე. ასტვაცატუროვი, ლ. ქიაჩელი, ვ. წულუკიძე, კ. გამსახურდია, ს. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე, აკ. გაწერელია, ალ. ქუთათელი, დ. ბენაშვილი** ერთხმად აღიარებენ, რომ პოემა „ენგური“ გამარჯვებაა არა მარტო ალ. მაშაშვილისა, არამედ ქართული საბჭოთა პოეტური კულტურისა.

ამხანაგებმა აღნიშნეს პეიზაჟის ოსტატური აღწერა. აღნიშნეს, რომ მაშაშვილმა პირველად აღწერა და შემოიტანა ქართულ მწერლობაში საქართველოს უშესანიშნავესი მდინარე ენგური. იგი დინჯი ეპიური თხრობით გადმოგვცემს ამბავს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთ უბანზე. მიუხედავად ამისა, პოემაში მრავლადაა მაშაშვილისათვის ჩვეული ლირიული ადგილები.

ამხანაგები აღნიშნავდნენ აგრეთვე ავტორის მიერ ჰუმორის ოსტატურად გამოყენებას. ავტორი სატირას, ირონიას მოხერხებულად იყენებს უარყოფითი ტიპების (ბესა ბუკია, მაჭაცარია) დახატვისას, წარსული ყოფის აღწერისას.

პოეტს ახასიათებს ფრთხილი და და ფაქიზი დამოკიდებულება ფრაზისადმი. პოემა დაწერილია რეალისტური მანერით. ავტორი თემას არ გადმოგვცემს ზედაპირულად, იგი დიდის სიყვარულით მიდის თემასთან.

მიუხედავად ამ ღირსებებისა, პოემას ახლავს ზოგიერთი ხარვეზიც,—აცხადებენ მოკამათენი.

„ენგურში“ სუჟეტი გაშლილია მოდუნებულად, რის გამო ადამიანები ბუნებასთან შედარებით მკრთალად გამოიყურებიან. ავტორმა სუჟეტური გაშლა წაიყვანა იქითკენ, სადაც აცილებულია დრამატიზაცია. პოემა დატვირთულია ბუნების აღწერით, იგი ხელს უშლის პოემის დრამატურგიულ განვითარებას.

დასასრულ გამოვიდა თვით პოემის ავტორი **ალ. მაშაშვილი.** მან მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას თავისი პოემის წერის ისტორია და მასალაზე მუშაობა. „მე ვეცადე, ჩემი პოემით მომეცა თანამედროვე, სოციალისტური ეპოსის ნიმუში. ამ რთული ამოცანის დაძლევაში გამოვიყენე ქართული კლასიკური ეპოსის, კერძოდ, ვაჟას და ილიას ეპიურ ქმნილებათა ტრადიცია“,—ამბობს ამხ. ა. მაშაშვილი.

„პოემაში დასმულია ინდივიდუმისა და კოლექტივის ურთიერთობის პრობლემა. ეს არის ადამიანის სურვილისა და პირობების ურთიერთობა. ეს არის ადამიანთა სურვილისა და შესაძლებლობის ურთიერთობა“.

პოემის მთავარი გმირის ბურდღუ შელიას სურვილს წინ ეღობებიან სიძნელენი. ამას ერთვის პირადი ხასიათის ფიზიკურ შესაძლებლობათა დაბრკოლებანიც. ხდება კოლიზია, უკეთ რომ ვთქვათ, კონფლიქტი სურვილსა და ფიზიკურ შესაძლებლობას შორის. გზადაგზა ადგილი აქვს ადამიანის მხრივ უკანდახევას, პანიკას, მაგრამ ბოლოს იდეისთვის მებრძოლი ადამიანის სურვილი, გაქანება, საქმისათვის უსაზღვრო თავდადება მაინც დასძლევს ფიზიკურ დაბრკოლებებს და იგი მიილტვის ახალი მწვერვალისაკენ, გმირობისაკენ.

დასასრულ, ამხ. **მაშაშვილი** ეთანხმება ზოგიერთ შენიშვნას და აღუთქვამს, რომ პოემაში შეიტანს სათანადო შესწორებებს მეორედ გამოცემისას.

მომხსენებელმა—ამხ. **გიორგი ნატროშვილმა** თავის საბოლოო სიტყვაში პასუხი გასცა მოკამათეებს. მან კვლავ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს დისკუსია მოწმობს ამხ. მაშაშვილის შემოქმედებისადმი და კერძოდ პოემა „ენგურისადმი“ მწერალთა საზოგადოებრიობის ინტერესს. ეს დისკუსია გამოირჩევა სხვა დისკუსიებისაგან იმით, რომ აქ გამოსული ამხანაგები საქმიანი კრიტიკის, საბჭოთა მწერლობის ინტერესების თვალსაზრისით მსჯელობდნენ, როგორც მაშაშვილის პოემის გარშემო, ისე ეპიური პოეზიის საკითხებზე.



დმანისი — კარიბჭე (დეტალი)

მზადება შოთა რუსთაველის იუბილესათვის

გამოფენა ბაქოში

დეკემბრის დამლევს ბაქოში ეწყობა რუსთაველის ეპოქის და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება რუსთაველის ეპოქა, რუსთაველის თანამედროვე აზერბეიჯანელი მწერლების—ნიზამისა და ხაკანის შემოქმედება, მაშინდელი აზერბეიჯანის სოციალური წყობა, ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურისა და ლიტერატურის ძეგლები.

რუსთაველისადმი მიძღვნილ სპეციალურ განყოფილებაში მოთავსებული იქნება მასალა, რომელიც ასახავს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას, პოეტის პორტრეტები, „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. იქვე წარმოდგენილი იქნება შრომები რუსთაველის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ და მასალა საბჭოთა კავშირში იუბილეის ჩატარების შესახებ.

გამოფენის მოწყობაში მონაწილეობას იღებენ სსრკ აკადემიის აზერბეიჯანის ფილიალი, ბაქოს უდიდესი ბიბლიოთეკები, აზერბეიჯანის სახელმწიფო საისტორიო და ხელოვნების მუზეუმები.

გამოფენის საჭიროებისათვის საქართველოში აზერბეიჯანიდან მოვლინებულ იქნა მხატვრებისა და მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა. ამ ბრიგადამ ფრიად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა: შეარჩია ექსპონატები, მხატვრებმა გადაიღეს სურათების და მინიატურების ასლები.

აზერბეიჯანელი 36 მხატვარი საიუბილეო დღეებისათვის ამზადებს სურათებსა და ქანდაკებებს. შოთას ბიუსტებზე მუშაობენ მოქანდაკე საშაი და ორბელიანი. მოქანდაკე ტრიპოლსკაია მუშაობს ქანდაკებაზე, რომელიც გამოხატავს შოთა რუსთაველს „ვეფხის ტყაოსნის“ წერის დროს.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში

შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის აღსანიშნავად კომპოზიტორთა კავშირს უკვე მზადა აქვს შემდეგი მუსიკალური ნაწარმოებები: კომპ. მშველიძის ოპერის „ვეფხის ტყაოსნის“ პირველი მოქმედება. პროფ. დიმ. არაყიშვილის ოპერის „ნესტანი“-ს პირველი მოქმედება. კომპ. ლეო ფალიაშვილის ოთხმოქმედებიანი ოპერა—„ვეფხის ტყაოსანი“ და ხუთნაწილიანი სიუიტა. კომპ. ი. გოკიელის სამმოქმედებიანი ბალეტი — „ქორეოგრაფიული პოემა“, კომპ. ანდრიაშვილის სამნაწილიანი სიმფონია, კომპ. ცაგარეიშვილის ნაწარმოებები გუნდისათვის და კომპ. უმრშუტის რომანსი „ნესტან-დარეჯანის პირველი წერილი ტარიელთან“.

ამ ცოტა ხანში მზად იქნება კომპ. გაბიჩვაძის — „ორატორია“, კომპ. კოკელაძის ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის, კომპ. მაჭავარიანის — „სიმფონიური სურათი“, კომპ. შავერზაშვილის „საკონცერტო არია“, კომპ. კურტიდი—„კანტატა ორკესტრთან“ და სხვ.

ეს ნაწარმოები გარჩევის შემდეგ დაურიგდება სხვადასხვა გუნდებს და ორკესტრებს რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის შესასწავლად და შესასრულებლად.

მარჯანიშვილის თეატრში

რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის მარჯანიშვილის სახელობის თეატრი აწყობს დიდ საზეიმო საღამოს სამ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში იქნება მოხსენება და სიტყვები შოთა რუსთაველისა და მისი შემოქმედების შესახებ. მეორე განყოფილებაში ინსცენირებული იქნება „ვეფხის ტყაოსანი“ რეჟ. გ. ჟურულის მიერ გაკეთებული. მესამე განყოფილება დაეთმობა მხატვრულ კითხვას: წაკითხული იქნება ადგილები „ვეფხის ტყაოსნიდან““ და რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები. კითხვაში მონაწილეობას მიიღებენ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები ორდ. თ. ჭავჭავაძე, პ. კობახიძე, შ. ღამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი, მიხ. ლორთქიფანიძე, ელენე სიბილა, კოსტავა და სხვები. გარდა ამისა, მხატვრულ კითხვაში მონაწილეობას მიიღებენ რუსთაველის თეატრის მსახიობები. დასასრულ გამოვლენ სახელმწიფო ოპერის მსახიობები.

ქართული მწერლობა რუსთაველზე

შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირი სცემს წიგნს: „ქართული მწერლობა შოთა რუსთაველზე“ წიგნი შესდგება სამი დიდი განყოფილებისაგან.

პირველ განყოფილებაში შედის საბჭოთა პოეტების ლექსები შოთას შესახებ, მოთავსებული იქნება ს. ეულის, ვ. გაფრინდაშვილის, ი. მოსაშვილის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ს. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ალ. გომიაშვილის, შ. აფხაიძის, მ. პატარიძის, რ. გვეტაძის, ს. თავაძის, ა. შანშიაშვილის, ვ. გაზისკირიას, ვ. გორგაძის, ვ. ჟურულის, კ. ნადირაძის, ი. ლისაშვილის, კ. ბობოხიძისა და კაჭახიძის ლექსები, ამავე განყოფილებაში იბეჭდება ქართველ კლასიკოსთა (15—19 საუკ.) დ. გურამიშვილის, თეიმურაზ პირველის, თეიმურაზ მეორის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ლექსები.

მეორე განყოფილებაში მოთავსებული იქნება შ. დადიანის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის და ა. ბელიაშვილის მოთხრობები, მესამე განყოფილებაში — ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას წერილები შოთაზე. ამავე განყოფილებაში შევა თანამედროვე მკვლევართა წერილები: პ. ინგოროყვას, გ. ქიქოძის, ს. ჩიქოვანის, კ. გამსახურდიას, კ. კაპანელის, ა. გაწერელიას და სხვებისა. წიგნი, რომელიც 22 ფორმისაგან შესდგება, გამოდის ამხ. კ. ჩარკვიანის რედაქციით. მხატვრული გაფორმება მეთორმეტე საუკუნის მინიატურების მიხედვით შესრულებულია პროფ. ლ. გუდიაშვილის მიერ. წიგნი გამოვა საიუბილეო დღეებში. წიგნს სცემს გამომცემლობა „ფედერაცია“.

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში

1937 წლის 16 დეკემბერს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სასამართლოს დახურულ სხდომაზე 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის თანახმად განიხილა საქმე ბრალდებისა გამო ა. ს. ენუქიძის, ლ. მ. კარახანის, ი. დ. ორახელაშვილის, ბ. პ. შებოლდაევის, ვ. ფ. ლარინის, ა. დ. მეტელევის, გ. მ. ცუკერმანის და ბ. ს. შტეიგერის სამშობლოს ღალატში, ტერორისტულ საქმიანობასა და სისტემატურ შპიონაჟში ერთერთი უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ, ესე იგი დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{1}-ა, 58^{8} მუხლებით.

ყველა ბრალდებულმა სავსებით სცნო თავი დამნაშავედ მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ბრალდებულ ა. ს. ენუქიძეს, ლ. მ. კარახანს, ი. დ. ორახელაშვილს, ბ. პ. შებოლდაევს, ვ. ფ. ლარინს, ა. დ. მეტელევს, გ. მ. ცუკერმანს და ბ. ს. შტეიგერს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ბიბლიოგრაფია

პეტრე უმიკაშვილი — „ხალხური სიტყვიერება“, ნაწილი პირველი. „ფედერაცია“, 1937 წ.

პეტრე უმიკაშვილი ჩვენში პიონერი იყო ხალხური პოეზიის ჩაწერისა და შეკრების საქმეში. იგი ამ უკვდავ საუნჯეს, ხალხის ბრძნულ ნამოქმედარს დაუღალავად აგროვებდა 40-45 წლის განმავლობაში. პ. უმიკაშვილი უპრეტენზიო მკვლევარი იყო. „მე ჩემ დღეში არ მიფიქრია და არც ვფიქრობ, ჩემის ნაწერებისათვის ამელო ფული. ვიცი, რომ ჯერ ამის ღონე არ აქვს ჩვენს მწერლობას“, — სწერდა იგი ალ. ნანეიშვილს 1893 წელს.

პ. უმიკაშვილი ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მარტოოდენ ხალხური ძეგლების შემკრებად როდია ცნობილი. მან თავისი გამჭრიახი კალმითაც ბევრი რამ შესძინა ქართული თეატრის აღორძინების საქმეს. 1879 წლიდან ვიდრე 1903 წლამდის მან დასწერა მრავალი პიესა („მისანი“, „ოიხი ანუ მახლასა ჯოჯოხეთში“, „ალერსი ბადე“ (რუსულიდან გადმოკეთებული), „დამარცხებულნი“, „სამზადისი“, „ბენეფისის წინ“, „გოლდონი“ — ისტორიული კომედია პაოლო ფერარის მიხედვით). ეს პიესები კარგა ხანს იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ქართული ფოლკლორის ისტორია პ. უმიკაშვილთანაა დაკავშირებული. ჩვენ არას ვამბობთ უცხოელ გამვლელთა შესახებ (ინტერიალო ლუკელი იოანე, შარდენი, ტავერნიე, სტრუესი, ოლეარი), რომლებიც საქართველოში მხოლოდ ეგზოტიკურ საოცრებას ხედავდნენ და მთიულების, ჩერქეზების, ლეკების, ოსებისა და მეგრელების შესწავლას წინასწარ აღებული აზრით უდგებოდნენ.

ხალხური პოეტური ფოლკლორის ნამდვილი შეგროვება იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. „დროება“ იწყებს ამ მეტად საპატიო საქმეს. „ივერიამაც“ ფართოდ გაუღო კარები ხალხურ შემოქმედებას, აკაკის „კრებულმა“ ხომ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს.

იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში ბევრი საინტერესო და უკვდავი მასალა პ. უმიკაშვილის ფონდიდან შეიტანა. ზოგი შეუცვლია ი. გოგებაშვილს და ზოგიც უცვლელად გადაუტანია („მოდი ვნახოთ ვენახი“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „წყალსა მოჰქონდა ხაფოტი“, „დილას ოქრო ხარ, სტუმარო“, „მე ჯავახეთს რა მინდოდა“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, „თებერვალი დადგა“, „საბრალო დედაბრისასა“, „საწყალი მელა ჩიოდა“ და სხვა).

პ. უმიკაშვილის წინამდებარე ტომი შესანიშნავია იმითაც, რომ აქ ვრცლადაა წარმოდგენილი ხალხური შემოქმედების სხვადასხვა სფერო. რედაქტორს ხალხური სიტყვიერების მთელი მასალა დაულაგებია რვა ჯგუფად. პირველ ნაწილში შეუტანია ლექსები: საგმირო (81 ლექსი), საისტორიო (52 ლექსი), რელიგიური (15 ლექსი), ყოფაცხოვრებითი (19 ლექსი), სატრფიალო (13 ლექსი), სასიმღერო (76 ლექსი), აფორიზმები (6 ლექსი).

ამ წიგნის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ ტომში მოთავსებულია ისეთი მასალაც, რომლის საშუალებით შეიძლება ბევრი საინტერესო მეცნიერული დასკვნის გამოტანა, კერძოდ, როდესაც მკვლევარები იწყებდნენ მუშაობას პოეზიის წარმოშობის, ჟანრების ჩასახვის, შრომისა და რიტმის ურთიერთობის, გამოცანების, ანდაზების, ზღაპრების, შელოცვებისა და სხვათა გენეზისის დადგენისათვის ისინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ უცხო ავტორებისათვის (აკად. ვესელოვსკი, ვიკელმანი, ვილუასონი, გოლდსმიტი, ჰერდერი, ძმ. გრიმები, ალბერტ კუნი, მაქს-მიულერი, აფანასიევი, გალახოვი, კარიერი ჟან-პოლ-რიჰტერი, ბენერი და სხვანი).

მთელ ამ მასალაში ხალხის უტყუარი და ჭეშმარიტი გენიაა ჩამარხული, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე ამბობდა. ლექსებში, სიმღერებში, გამოცანებში, ზღაპრებში ფართოდაა წარმოდგენილი ძველი უკულმართი ცხოვრება, კლასთა ბრძოლა, სოციალური უსამართლობა და სხვ. ყოველ ძეგლს ხალხის ნიჭისა და ერუდიციის ბეჭედი აზის.

ბედნიერი ქვეყნის ახალგაზრდობა და დაინტერესებული მკითხველი დიდი სიამოვნებით მოჰკიდებს ხელს პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებას“. წიგნს დართული აქვს ფ. გოგიჩაიშვილის წერილი „პეტრე უმიკაშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი)“.

წიგნის ბოლოს წარმოდგენილია ვრცელი შენიშვნები.

ტომი კარგადაა გამოცემული, შეიცავს 642 გვ. ჩასმულია ძვირფას ყდაში და ღირს 19 მან. და 60 კაპ. **ბ. ბ.**

რუსთაველის ძეგლი

მუშაობა რუსთაველის ძეგლის დასადგმელად წარმატებით მიმდინარეობს. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ძეგლი იდგმება მოქანდაკე კ. მერაბიშვილის პროექტის მიხედვით.

ძეგლის გარშემო მთელი მოედანი დაგებული იქნება გრანიტით, მისასვლელები მოპირკეთებული იქნება მარმარილოთი. ბოლნისის ქვისაგან გაფორმებული იქნება ხუთი წყარო.

ძეგლის მისასვლელთან პოსტამენტებზე გრანიტიდან გამოკვეთილი იქნება ვეფხვის ორი ფიგურა. ძეგლის მარჯვნივ და მარცხნივ მოეწყობა ორი აუზი.

ძეგლის საფუძველს წარმოადგენს თერთმეტ საფეხურიანი კიბე, რომელიც კეთდება სადახლოს შავი მარმარილოსაგან. კვარცხლბეკის ზემო ნაწილი შენდება სამხრეთ-ოსეთის ყვითელ მარმარილოსაგან. ქვემო ნაწილში მოთავსდება ბარელიეფი „გმირობა“ (ნესტან - დარეჯანის განთავისუფლება). ბარელიეფზე ასეთი წარწერა იქნება:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.

პოსტამენტზე დაიდგმება შოთას ფიგურა, რომლის სიმაღლეც 5 მეტრამდე მიაღწევს.

ფიგურა გამოკვეთილი იქნება თეთრ მარმარილოდან.

ძეგლის უკან აშენდება გრანიტის კოლონადა, რომლის წინ მოეწყობა უზარმაზარი შადრევანი.

მე-12 საუკუნის ჭურჭელი

მოხსენებები აჭარის რაიონებში

აჭარის მწერალთა კავშირი კარგა ხანია შეუდგა რუსთაველის იუბილესთვის მზადებას, პირველ რიგში განზრახულია ჩატარებულ იქნას ბათომსა და აჭარის რაიონებში პოპულარული მოხსენებები რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მოეწყოს კოლმეურნეობებში და ფაბრიკა - ქარხნებში „ვეფხის-ტყაოსნიდან“ ადგილების ხმამაღალი კითხვა.

პირველი მოხსენება ჩატარებულ იქნა ხულოს რაიონულ კლუბში 17 ნოემბერს. მოხსენება რუსთაველის შემოქმედების შესახებ გააკეთა პარმენ ლორიამ. მოხსენებას მრავალი ხალხი დაესწრო როგორც ხულოდან, ისე მახლობელ სოფლებიდან.

რუსთაველის საღამოები

საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოჰყო სპეციალური კომისია (თავმჯდომარე ამხ. ს. ჩიქოვანი, წევრები—ა. მაშაშვილი და ვ. გორგაძე), რომელსაც დაევალა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მასობრივი მუშაობის ჩატარება თბილისის საწარმოებსა და საქართველოს რაიონებში.

კომისიამ უკვე შეადგინა რუსთაველის საღამოების ჩატარების გეგმა და შეარჩია მომხსენებლები მწერლებიდან და მეცნიერ მუშაკებიდან. ჩატარებულ იქნა აგრეთვე მომხსენებელთა საინსტრუქციო თათბირები. 20 დეკემბრიდან დაიწყება რუსთაველის საღამოების ჩატარება.

მოხსენებები რუსთაველზე

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთაველის სახ. სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის პროფესორები საიუბილეო დღეებში წარმოებებსა და სამხედრო ნაწილებში წაიკითხავენ მოხსენებებს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ასეთივე მოხსენებები მოეწყობა საქართველოს რაიონებში.

გასწორება

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ თბილისის მშრომელი საბჭოთა ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმული სიტყვის მე-26 აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ფაშისტური ოხრანკების აგენტები“, პრესაში არასწორად არის გაშვებული. სიტყვების „მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე“, შემდეგ უნდა იკითხებოდეს „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის ყოფ. დირექტორი დავით წერეთელი“ შემდეგ, როგორც ტექსტშია, გრ. წერეთელის გვარი ამ აბზაცში შეცდომით არის აღნიშნული.

საქდესი.

ლიტერატურული ახალგაზრდობა და ჟურნალი „ჩვენი თაობა“

ერ. ასტვაცატუროვი

ჩვენი ქვეყანა უაღრესად მდიდარია ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანებით. დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ბედნიერმა და სამურმა ცხოვრებამ ფართო ასპარეზი გადაუშალა ადამიანის თავისუფალ შრომისა და აზროვნების შემოქმედებას, გამოამჟღავნა მშრომელთა წრიდან ათასობით ნიჭიერი ახალგაზრდა კადრები სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში. საბჭოთა საქართველოში ამ 16 წლის მანძილზე, პარტიის ხელმძღვანელობით, მრავლად აღიზარდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მხატვრული სიტყვის შემოქმედთა მოწინავე რიგებში.

ასეთი ახალგაზრდა მწერლები გვყავანან ახლაც. ესენი თავს იყრიან უმთავრესად ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ. ამათგან, გამოქვეყნებული ლექსების მიხედვით, ყურადღებას იპყრობენ მაყვალა მრევლიშვილი, ნინო ქობულაშვილი, გ. კალანდაძე, ვ. უბილავა, იოსელიანი, ანდ. თევზაძე, ვ. ლომიძე, შ. ამისულაშვილი, გრ. ცხვედიანი, რ. მარგიანი, ნ. კოპალიანი, ი. მენთეთაშვილი, ქუთელია და სხვები. მათ ლექსებში მოსჩანს პოეტური ძალა. ავტორები ამჟღავნებენ მოვლენათა მხატვრული გააზრების, დამახასიათებელი დეტალების განსჭვრეტის, ტიპიური სახეებისა და შედარებების მონახვის უნარს.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ვლ. უბილავას და ბექაურის ლექსები — „პირველი ცეცხლი უშბაზე“ და „ლენინის სიკვდილზე“. პირველი ლექსი ეხება „მთების მეუფე“ უშბას მწვერვალზე ასვლას. ეს დეტალი ავტორს აღებული აქვს როგორც ახალი ცხოვრების ძლიერი განთიადი, რომელმაც დაარღვია საუკუნეებით გაბატონებული რელიგიურ-ტრადიციული სიბნელე მთაში უშბას მეფური ძალის შესახებ. ეს დეტალი ისე კარგად აქვს დამუშავებული უბილავას, რომ მკითხველი ასოციაციებით გადადის მთაში და პირველ ცეცხლს უშბაზე ხედავს როგორც „განახლებული ცხოვრების ახალ ვარსკვლავს“

ბექაურის ლექსი „ლენინის სიკვდილი“ ფოლკლორის სტილზეა დაწერილი. იგი მხატვრული სიძლიერით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, უშუალობითა და განცდებით იძლევა ლენინის სიკვდილის გაგების ამბავს ფშავ-ხევსურეთში. ძლიერი და მკვეთრი სახეები და შედარებები მგრძნობიარეს ხდიან ლექსის ყოველ სტრიქონს:

„გადაიკრიფნენ ვარსკვლავნი,
შუქი დაბნელდა მზისაო,
ცვლილება ჰქონდა ქვეყანას,
სამჯერ შეინძრა მიწაო,
ყველგან გაისმა ტირილი,
როგორც გუგუნი ზღვისაო..,
მოყვარე იყო გლეხისა,
ლახვრის დამკრავი მტრისაო,
მებრძოლი ხალხის ბელადი,
დამცველი ჩვენი მხრისაო.
თუმცა რად დაიკარგება,
სახელი კარგი ყმისაო..,
მან დავვიტოვა სტალინი,
წყაროო სინათლისაო,
თავზარდამცემი მტერისა,
ვაჟკაცი ფოლადისაო,
ანდერძის შემსრულებელი
განთქმული ლენინისაო.“

კარგია შ. იოსელიანის ლექსიც—„სიმღერა ფორთოხლებში“. იგი კოლორიტული ფერებით არის დაწერილი და კარგად გადმოგვცემს უხვ მოსავლიანობას, ბედნიერი და სამური ცხოვრებით დამტკბარი ქალის მოციმციმე სახეს:

„ნარინჯის ხე ციმციმებდა,
ქარვისფერი ალით იწვის,
ტოტიც თვითონ იზნიქება,
რომ არ შერცხვეს მკრეფავის წინ.
გოგო კალთებ—გადაყრილი,
ფერწითელი შინდივითა,
მოდის—სავსე სიყვარულით,
ფორთოხალის სიმკვრივითა,
იგი სწრაფად ტოტებს გაშლის
ატრიალებს ნაყოფს ხელში,
თითქოს ჩაჰდა ფორთოხალში
თვალცქრიალა ქალის ეშხი“.

ვ. ლომიძის ლექსი „გრძნობის ყვავილი“ საბჭოთა პატრიოტიზმის თემას ეხება. ლექსის თემაა ბავშვი: „ჩვენი ცხოვრების წმინდა ყვავილი, სამურ შუქით გულდანათბობი, სიცოცხლის ბაღში შემოყვანილი“. ამ ლექსში იგრძნობა სოციალისტური ცხოვრების სიტკბო და სიყვარული. ამ სიყვარულის გრძნობას აძლიერებს განსაკუთრებით ის, რომ იგი დაკავშირებულია ნორჩ ბავშვთან, რომელიც დაბადებისთანავე ბედნიერია:

„ახლა პატარა რომ იბადება,
ბედნიერებით სუნთქავს მაშინვე,
წამოიზრდება, სადაც ჩვენ სწორებს
გვიქცა ცხოვრება უტკბეს ჰანგებად...
წამოიზრდება თავის ტოლებთან,
ამ აღტაცების ალში გათბება,
სტალინის სიბრძნეს შთაიგონებს და
რუსთაველის ლექსით დაითაფლება“.

რეალისტური ალღოთი, პოეტური უშუალობითა და შინაგანი ლირიკული სითბოთია დაწერილი მაყ. მრევლიშვილის „აბრეშუმი“, ირ. მენთეთაშვილის „კახეთი“ და ანდ. თევზაძის ლექსი სტალინზე. ეს ლექსები დამახასიათებელია მდიდარი მხატვრული ფერებით, რეალისტური სახეებითა და ლამაზი შედარებებით.

შეიძლებოდა გაგვეხილა სხვების ლექსებიც, რომლებიც ცხადჰყოფენ ავტორების მხატვრული აზროვნების უნარსა და ნიჭს. მაგრამ საერთო წარმოდგენისათვის ესეც საკმარისია. ჩვენს მიერ ზევით დასახელებულ დამწყებ მწერალთა ნაწერებში აუცილებლად მოსჩანს ავტორების ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ ყველას, მეტნაკლებობით, ახასიათებს დამწყებისათვის „ჩვეულებრივი“ ნაკლოვანებები. უპირველეს ყოვლისა იგრძნობა, რომ ლექსები თავიდან ბოლომდე თანაბარი ძალით არ არის დამუშავებული, შეკრული. ხშირად სახეები და შედარებები ღრმად არ არიან გააზრებული, ისინი ზოგჯერ ნაუცბათევად და რითმისათვის არიან მოტანილი, რაც აზრს გაუგებარს ხდის, ლექსის ღირსებას ამცირებს. ლირიკულ ლექსში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმკვეთრეს, მხატვრულ სიწმინდეს, მოხაზული სახის რელიეფურობას, მაგალითად, ვლ. უბილავას ლექსში „აფხაზეთის ქალი“ არ არის რელიეფურად გამოკვეთილი ადამიანის სახე ან მისი განწყობილება, ხასიათი. ამიტომ არ იგრძნობა ის ქალი, რომელზედაც ავტორი სწერს. დამწყებთა ლექსებისათვის, ზოგჯერ დამახასიათებელია უხეირო პროზაულობა, ზოგჯერ კი ყალბი რომანტიულობა. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად არის მავნებელი დამწყები მწერლისათვის, იმიტომ რომ იგი ყალბ გზაზე აყენებს მას, ხელს უშლის მოვლენათა უშუალობით ათვისებაში, „თვითმიზნურად“ აქცევს სახეებს და შედარებებს, აზრს აცლის ლექსს. ნ. ქობულაშვილი, რომელიც აუცილებლად ნიჭიერი ახალგაზრდაა, ნაკლებად მუშაობს ლექსის შინაარსზე, ის რაღაც იდილიურ განწყობილებათა რკალშია მომწყვდეული და პასიურ „თემებს“ მიმართავს ან, უფრო სწორედ, პასიურად ამუშავებს თემებს, აბნელებს ლექსს და არაფერს არ აძლევს მკითხველს („საღამო“). ნაწილობრივ ასევე უნდა ითქვას შ. ამისულაშვილზეც. შ. ამისულაშვილის ლექსებში იგრძნობა ბუნებრივი პოეტური წვა, ავტორი ზოგჯერ უხვადაც პოულობს მხატვრულ ფერებს თავისი ლირიკული განწყობილების დასახატავად, მაგრამ უფრო მეტად ის სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის ყალბ გავლენას ამჟღავნებს, საგნებს და სახეებს არამიზნობრივად აპიროვნებს, ლექსს აბუნდოვნებს „ლირიკული“ განცდებით და ზოგჯერ რითმის გულისთვის ისეთ სიტყვას ხმარობს, რომელიც მთლიანად შლის ლექსისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას. მაგალითად, არაფრად არ ვარგა, როცა დამწყები მწერალი რითმის გულისთვის ისეთ შეუსაბამო სიტყვას იხმარს, რომელიც აზრის თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია. ლექსში „წინამძღვრის გზაზე“ ილიას შესახებ ის სწერს:

„ქვეყანამ იცნო
ბუმბერაზ მგოსნის ელვა და მეხი;
სიტყვამ დალეწა ხეობა ვიწრო
და პოეზიის წამოდგა ფეხი“.

როგორ მოგწონთ შედარება —„პოეზიის ფეხი“? არ ვარგა არც ნაძვის შედარება ყანწთან („გაზაფხული“) და სხვა. თუ ღრმად ჩაუკვირდება ამისულაშვილი თავის შეცდომების მიზეზებს, მიხვდება, რომ ისინი შემთხვევითი ხასიათისანი არ არიან. მისი ლექსების შინაგანი რიტმიც არსებითად არარეალისტურია. იგი სიმბოლიზმის გავლენას განიცდის. ეს გავლენა ეტყობა სხვა დამწყებ პოეტებსაც, რომლების ლექსებიც „ჩვენ თაობაში“ იბეჭდება.

აქ ჩვენ შევეხეთ მხოლოდ პოეტებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ 1937 წელს ჟურნალში თითქმის არც ერთი დამწყები მწერლის პროზაული ნაწარმოები არ დაბეჭდილა.

ჟურნალი „ჩვენი თაობა“ იმისათვის არსებობს, რომ ხელი შეუწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს დამწყებ მწერალთა აღზრდა - მომწიფებას, გამომჟღავნებას. მარტო ბუნებრივი ნიჭი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის დაეუფლოს ხელოვნების მწვერვალებს, გახდეს იმ დიდი იდეების, მისწრაფებებისა და განცდების მხატვრული მესიტყვე, რომლებითაც ესოდენ მდიდარია სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ხალხი. საბჭოთა მწერლობის წინაშე მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. საბჭოთა ლიტერატურა უნდა გადაიქცეს იმ დიდი ისტორიული ძვრების ნამდვილ სარკედ, რომლებსაც ადგილი აქვთ სტალინურ ეპოქაში. საბჭოთა ლიტერატურამ ძლიერი მხატვრული ერუდიციით, წარმტაცი ფერებითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით უნდა უთხრას სიმართლე თაობებს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წარსულისა და ბედნიერი აწმყოს შესახებ. ამ გარემოებამ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა აღძრას ახალგაზრდა მწერალში, თუ მას სურს სათანადო ადგილი დაიკავოს საბჭოთა ლიტერატურაში. დამწყებ მწერალთა შორის უნდა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა, ეს მუშაობა უპირველეს ყოვლისა ჟურნალ „ჩვენი თაობას“ ეკისრება. ეს ჟურნალი ამ ახალი კადრების აღზრდისა და გამომჟღავნების ცენტრად უნდა გადაიქცეს. დღემდე წარმოებული მუშაობით იგი ამ ამოცანებს ვერ აკმაყოფილებს.

უკანასკნელ თვეებში რედაქციამ თვალსაჩინოდ გააუმჯობესა ჟურნალის შინაარსი, გააძლიერა მუშაობა დამწყებ მწერლებთანაც, უფრო მეტი ყურადღება მიაქცია მათი ლექსების ბეჭდვას, მაგრამ ჟურნალის მუშაობა, ჯერ კიდევ ვერა სდგას მოწოდების სიმაღლეზე. ჟურნალის გარშემო თავს იყრის სათანადო ნიჭიერი, მხატვრული აზროვნებისა და ინტელექტუალური უნარის მქონე ახალგაზრდობა. მხოლოდ საჭიროა უფრო მეტი ზრუნვა ნიჭის გამომჟღავნებისა და წახალისებისათვის, მისი სუსტი მხარეების ლიკვიდაციისათვის. რედაქციამ უნდა მოახდინოს ცალკეული მნიშვნელოვანი დამწყები მწერლის მხატვრული მუშაობის ანალიზი — განიხილოს მისი ნაწერები, როგორც საჯარო კრებებზე, ისე ჟურნალის ფურცლებზე. ის დაანახვებს ყოველ ახალგაზრდა მწერალს თავის სუსტ მხარეებს და დაეხმარება მას შემდგომ მუშაობაში.

დაიბეჭდა და იყიდება
შალვა რადიანის წიგნი
„ლიტერატურული მემკვიდრეობა“
(კრიტიკული წერილები)
მეორე შევსებული და
შესწორებული გამოცემა
შინაარსი: ილია ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი, ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, იროდიონ ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე.
წიგნი შეიცავს 816 IV გვ.
„ფედერაციის“ გამოცემა. ფასი 8 მან. 50 კაპ.

პ.-მგ. რედაქტორი შალვა რადიანი
პ.-მგ. მდივანი ნიკოლოზ ჩაჩავა

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 330071